ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ქობულეთში, „საქართველოს ბანკთან“, ინკასატორი გაძარცვეს

გვ.5

წაღებულია 75.000 ლარი

20 ოქტომბრიდან

ანბანი ლექსებით

33 ქართული საბავშვო ლექსი, 260-ზე მეტი სიტყვა და ილუსტრაცია სტიკერებით, გასაფერადებლებითა და ქართული ასოების საწერი ბადეებით

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

პარასკევი, 23 ოქტომბერი, 2020 №222 (8486) ფასი: 60 თეთრი

„თავდამსხმელი თავიდან აგრესიული იყო და რამდენიმეჯერ გაისროლა, მერე კომუნიკაბელური გახდა“

გვ.2

მძევალი ირაკლი კვარაცხელია „საქართველოს ბანკში“ მომხდარს იხსენებს

„ტერორისტი უკეთესად მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ“

გვ.2

„ზუგდიდის მოვლენებზე მთავრობამ პასუხი უნდა გაგვცეს“

ეკა ბესელია: „კობახიძე ივანიშვილს ეპრანჭება“

გვ.3

გვ.3

გოგი წულაია: „ხელისუფლება თვითონ არ ვარგა და ზუგდიდის ყაჩაღობასაც ოპოზიციას აბრალებს“

გვ.4

„ხელისუფლებამ ტერორისტზე შტურმი შეგნებულად არ განახორციელა“

ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩიხიდან გამოსასვლელად რეფორმატორის იმიჯი უნდა დავიბრუნოთ და დასავლეთის ყურადღება მივიპყროთ“

გვ.4

გვ.4

კელი დეგნანი: „არჩევნების სკრუპულოზური მონიტორინგი აუცილებელია“

ვახტანგ გომელაური: „პირველი ამოცანა იყო ადამიანების გადარჩენა“

„დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ბატონ ავთო გალდავას, რომელმაც თავისი სიცოცხლე გაწირა“

გვ.5

ISSN 1987-9385

4 გიგა ბოკერიამ ირაკლი კობახიძეს პოლიტიკური კლოუნი უწოდა

4 „ოცნების“ დეპუტატი გაიტაცეს, მაგრამ მან თავს გაქცევით უშველა

5 მარტყოფში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

6 ალიევი: „სომხური ფაშიზმი ხერხემალში უნდა გადავტეხოთ“

„თავდამსხმელი თავიდან აგრესიული იყო და რამდენიმეჯერ გაისროლა, მერე კომუნიკაბელური გახდა“

მძევალი ირაკლი კვარაცხელია „საქართველოს ბანკში“ მომხდარს იხსენებს

ზუგდიდში „საქართველოს ბანკში“ მომხდარი თავდასხმის დროს აყვანილი მძევლებიდან მედიასთან ყველაზე მეტი კომენტარი ირაკლი კვარაცხელიამ გააკეთა.

კვარაცხელია ამბობს, რომ თავდამსხმელი პირველ ეტაპზე აგრესიული იყო და რამდენიმეჯერ გაისროლა კიდეც.

მისივე თქმით, ბანკიდან გამოსვლის წინ შეიარაღებულმა პირმა თავად აარჩია ერთი პირი, რომელიც მასთან ერთად უნდა წასულიყო, ხოლო ორმა მძევალმა საკუთარი ნებით მიიღო ეს გადაწყვეტილება.

– თავიდან იყო ძალიან აგრესიული, მაგრამ მძევლად ვინც იყო, ყველამ ერთად მოახერხა ის, რომ კომუნიკაბელური გახდა. წაიყვანა ბიჭები, ორმა თვითონ გამოთქვა სურვილი, მესამე თვითონ დაასახელა. ნიღბის გარეშე არ ყოფილა არც ერთი წუთი....ხმას თუ გავიგონებ, შეიძლება მივამსგავსო....

სამართალდამცავებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სხვა მძევლის დახმარებით. ჰქონდა ტელეფონი ხმამაღლა ჩართული და ეუბნებოდა, რა პასუხი უნდა გაეცა. იყო შემთხვევები, როცა თავადაც ერთვებოდა საუბარში.

რადგან მე დავალებული მქონდა მედიასთან დარეკვა, სრულიად კატასტროფული და ამორალური კამპანია წამოიწყო გარკვეულმა ჯგუფებმა, – ამბობს ირაკლი კვარაცხელია.

მისი ინფორმაციით, თავდამსხმელი 35-40 წლამდეა.

– სროლის ხმა გავიგე და, როდესაც გავერკვიე, რა ხდებოდა, დავინახე, რომ ეს ადამიანი ბანკში შედიოდა, შემდეგ, რამდენადაც პოლიციაში ამბობდნენ, ეს ადამიანი საქართველოს ბანკთან მიიყვანა აბსოლუტურად შემთხვევითმა გამვლელმა. ანუ მანქანა გააჩერა და ბანკამდე გაჰყვა. რაც შეეხება გასროლას, ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ, მგონი, ორჯერ იყო გასროლის ხმა გარეთ.

როცა შიგნით შემოვიდა, მაშინ კი ორჯერ განახორციელა გასროლა – შიგნიდან გარეთ იმ ადამიანის მიმართულებით, რომელსაც ხელში კამერა ეჭირა.

თავდამსხმელისგან საფრთხე რეალური იყო. ჩვენი მიზანი ის იყო, რომ იქიდან ცოცხალი გამოვსულიყავით. ვხედავდით, რომ ხელში ეჭირა საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარა, რომელზეც მე ვიცოდი და სხვებსაც ავუხსენი, რომ თუ ხელყუმბარა აფეთქდებოდა, ცოცხალი ვერც ერთი გადავრჩებოდით. ჩვენი მიზანი იყო ის, რომ გარედან მისთვის არავის ესროლა, რაც ავტომატურად ჩვენს სიკვდილსაც ნიშნავდა, – განაცხადა ირაკლი კვარაცხელიამ.

თავდამსხმელმა თავდაპირველად სხვას უთხრა, „ტვ პირველს“ დაუკავშირდითო.

– როცა ეს რამდენიმე ადამიანმა ვერ მოახერხა, მერე ჩემამდეც მოვიდა. „ტვ პირველს“ მე მივწერე და დავურეკე, თუმცა არავინ მიპასუხა, რადგან „ტვ პირველმა“ არ გვიპასუხა, გვითხრა, „მთავარ არხს“ დაურეკეთო, აქაც რომ არ გვიპასუხეს, მერე გადავედით „ფორმულაზე“. „ფორმულაზე“ გვიპასუხეს და გვითხრეს, რომ მალე გადმოგვირეკავდნენ, ამასობაში „მთავარმა არხმაც“ გადმორეკა და, შესაბამისად, მათთან მოხდა პირველი კონტაქტი, – აღნიშნა მძევალმა.

მისი თქმით, თავდამსხმელი იქცეოდა იარაღთან ურთიერთობაში, როგორც გამოცდილი ადამიანი, იმდენად აგრესიული იყო, რამდენადაც ეს მისთვის იყო აუცილებელი, ხალხის შესაშინებლად და მათზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

– ძირითადად ქართულად საუბრობდა, ვეცადეთ, რომ კომუნიკაცია გვქონოდა და რამდენიმეჯერ მეგრულადაც გვიპასუხა, – განაცხადა კვარაცხელიამ.

მისი თქმით, თავდამსხმელს სამართალდამცავებთან მოლაპარაკება სხვა მძევლის ტელეფონის საშუალებით ჰქონდა.

– ჩანთა მოუტანეს, რომელიც ჩვენ თვალწინ გახსნა. ჩანთაში ხუთი შეკვრა იყო, მაგრამ, რა იყო ეს, არ ვიცი. თვითონვე ნახა, რომ ხუთი შეკვრა იყო რაღაც, მაგრამ სათითაოდ არ დაუთვლია, – განაცხადა კვარაცხელიამ.

რაც შეეხება უკვე ბანკიდან მძევლებთან ერთად გასვლის ფაქტს, როგორც კვარაცხელია იხსენებს, ორმა ადამიანმა თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ იმ შემთხვევაში თუ ქალების წაყვანას

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ტერორისტი უკეთესად მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ“

თორნიკე შარაშენიძე: „ირაკლი კვარაცხელიასთვის რაღაცების დაბრალება დიდი უზნეობა იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, რაღაც დაუჯერებელი და სასწაული ამბავი ხდებოდა 21 ოქტომბერს ზუგდიდში, ამ ყველაფერს კი ახლდა პოლიტიკური სარჩული და ურთიერთგადაბრალება. ოპოზიცია ხელისუფლებისკენ იშვერდა ხელს, ხელისუფლება – ოპოზიციისკენ.

– გეთანხმებით, ნამდვილად უბედურება ხდებოდა, თუმცა უნიკალური და გამორჩეული არ ყოფილა, მსგავსი რამ სხვაგანაც ხდება. ცხადია, ეს არ არის კარგი, თუმცა ყველაზე ცუდი და სამარცხვინო არის ის, რომ ასეთ დროს ერთმანეთის ჭამას იწყებენ. ყველაფრის პოლიტიზება არ შეიძლება. ჩემი აზრით, ეს ორივე მხარეს თანაბრად ეხება. თუმცა ის ფაქტი, რომ ააგეს შეთქმულების თეორია, რომ თურმე კვარაცხელიას გადაღებული ჰქონდა ფოტო სააკაშვილთან და ამის გამო ეს ნაციონალების დადგმული იყო, კიდევ უფრო დიდი მარაზმი იყო. სააკაშვილთან ფოტო გადაღებული აქვს ნახევარ ზუგდიდს. აქედან გამომდინარე, ნახევარ ზუგდიდს ვერ დავაბრალებთ, რომ სააკაშვილის მონები არიან. ეს ჩვეულებრივი სისულელეა.

– სულ იყო საუბარი იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნოდ სიტუაცია დაიძაბებოდა და პროვოკაციებიც იყო მოსალოდნელი. იმას, რაც ზუგდიდში მოხდა, თქვენ პოლიტიკურ კონტექსტში არ განიხილავთ?

– ვერ განვიხილავ. ჩვენ მიჩვეული ვართ, რომ ყველაფერში პოლიტიკას ვხედავთ. ასეთი რაღაცები ადრეც მომხდარა საქართველოში, შევარდნაძის დროსაც მოხდა. მაშინ არავის უფიქრია, ამის პოლიტიზება მოეხდინა.

– გაჩნდა ლოგიკური კითხვა – კბილებამდე შეიარაღებულმა პირმა ასე მარტივად როგორ შეაღწია ბანკში?

– მიჭირს თქმა. ფაქტია, რომ ის რაღაცნაირი გზებით ბანკში აღმოჩნდა.

– შესაძლოა, რომ ჰყავდა თანამზრახველი და მარტო არ მოქმედებდა?

– საკმაოდ მომზადებული ჩანდა. ის დაიძრა აფხაზეთისკენ, როგორც ჩანს, კარგად იცნობს შემოვლით გზებს. არ არის გამორიცხული, რომ ის ყოფილი სპეცრაზმელია. აშკარაა, უშიშროების სამსახურთან ჰქონდა შეხება. მისი მანერები ამაზე მეტყველებდა. კარგად ჩაატარა ყველაფერი, სტრესის ქვეშ არ მოექცა.

გამოუცდელი ტერორისტების უმრავლესობა ექცევა სტრესის ქვეშ, მოლაპარაკების შემდეგ კარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს, საბოლოო ჯამში, ან ნებდება, ან კონცენტრაციას კარგავს და შემდეგ მისი განიარაღება ხდება. ამ ადამიანს, როგორც ჩანს, თავის დროზე შეხება ჰქონდა უშიშროების სამსახურებთან, რადგან მსგავსი რამ არ მომხდარა. ის ფაქტი, რომ გადავიდა აფხაზეთში, მიუთითებს იმაზე, რომ კარგად იცის ბილიკები და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული, რომ თავის დროზე იქაც მოქმედებდა.

– რამდენად სწორად იმუშავა ხელისუფლებამ? სერიოზულ კრიტიკას ვისმენთ ოპოზიციის მხრიდან, რომ მიუტანეს 500 ათასი, ჩასვეს მანქანაში და თვითონვე მიაცილეს ტყემდე. უსუსურ და სუსტ ხელისუფლებად მოიხსენიებენ.

– როგორც ჩანს, ძალოვანი უწყებების პირველი ამოცანა იყო, მძევლად აყვანილი ადამიანები გადაერჩინათ და მსხვერპლი არ ყოფილიყო. იმედი ჰქონდათ, რომ მერე იქ მოხდებოდა ამ დამნაშავის განეიტრალება და ეს უკვე ვეღარ მოახერხეს, იმიტომ, რომ ეს პირი უფრო კარგად მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ეგონათ.

– ბანკიდან რატომ არ წაიღო თანხა, ხელისუფლებას რატომ მოატანინა?

– ალბათ არ იყო ბანკში საკმარისი რაოდენობის თანხა.

– იმ ფონზე, როდესაც დამნაშავეს ამდენი მძევალი ჰყავდა და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ასევე საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო ზუგდიდის ქუჩებში. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მხარეები და ასე შემდეგ. წინ არჩევნებია და ყველაფერზე მიდიან, მაგრამ ასეთ სიტუაციაში ეს რამდენად გამართლებული იყო?

– უკეთესი იქნება, თუ გავჩუმდები და ამაზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან კარგს ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი. ორივე მხარე ძალიან ცუდად მოიქცა, როცა დაიწყეს პოლიტიკური ქულების დაწერა და ერთმანეთისთვის ტალახის სროლა. უფრო მეტი სიბინძურე მაინც „ოცნებამ“ ააგო, გამომდინარე იქიდან, რომ კვარაცხელია იყო ნაცმოძრაობის მხარდამჭერი.

ძალიან სამწუხაროა, რაც ხდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური კულტურა საქართველოში საკმაოდ დაბალია. პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის ოპოზიციას და განსაკუთრებით მმართველ პარტიას, მოეთხოვებათ მეტი სიმშვიდე და კონსტრუქციულობა.

– ასევე სერიოზული კრიტიკა იყო ტელევიზიების მისამართით, ხელისუფლებამ თითი მათაც დაუქნია. ამაზე რას იტყვით, რამდენად სწორად გაშუქდა ეს შემთხვევა?

– მასმედიასაც ნამდვილად მართებს თავშეკავება და კულტურა. ბოლოს და ბოლოს, ფილმები მაინც უნდა ჰქონდეთ ნანახი მსგავს ძარცვებსა და მძევლების აყვანაზე, თუ რა და როგორ ხდება. ერთ-ერთ არხს ჩაერთო მძევალი კვარაცხელია და წამყვანი ეუბნება, ტელეფონი მიატრიალე და დაგვანახე, რა ხდებაო. ასეთი რაღაც როგორ შეიძლება, თავში მოუვიდეს ადამიანს?! ეს რით შეიძლება დამთავრდეს, ამაზე ხომ უნდა იფიქრო! მართლაც რომ მიატრიალოს და დაანახოს, იქ რა ხდება, ამას ხომ შეიძლება, კატასტროფა მოჰყვეს?! კიდევ კარგი, მძევალი მიხვდა, რომ ეს არ უნდა გაეკეთებინა.

ტერორისტს ყველაფერი დეტალურად ჰქონდა გათვლილი. მან თავი წარმოაჩინა მშვიდობიან და კონსტრუქციულ ადამიანად, დაანახა ყველას, რომ არ ერჩოდა მძევლებს. არ არის გამორიცხული, რომ ვიღაცებში სიმპათიაც მოიპოვა და მას ამისთვის ტელევიზიაში ჩართვაც დასჭირდა. მე კარგი ტიპი ვარ – ასე გამოაჩინა თავი აშკარად.

– აფხაზური მხარე აცხადებს, ჩვენს საზღვარს თუ გადმოკვეთს, დავაკავებთ და თბილისს გადავცემთო.

– დავიწყოთ იქიდან, რომ აფხაზური მხარე ნაკლებად აკონტროლებს საზღვრებს, საზღვრებს რუსები აკონტროლებენ და მეორეც, ამ ადამიანმა აშკარად კარგად იცის შემოვლითი გზები აფხაზეთში.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის უკვე სამშვიდობოს არის?

– აქ გამოჩნდება უკვე ჩვენი სპეცსამსახურების ვაჟკაცობა. მათ, ბუნებრივია, აქვთ თავიანთი გავლენა აფხაზეთში, ამას ასე მარტივად არ ახმაურებენ, მაგრამ ეს გავლენები ახლა უნდა გამოიყენონ, დაგვანახონ, რა შეუძლიათ.

– იმ მოვლენების ფონზე, რაც ზუგდიდში ხდებოდა, დმანისშიც საკმაოდ დაიძაბა სიტუაცია. აქაც აქტიურად მიდის გადაბრალება. ხელისუფლება აცხადებს, რომ ოპოზიციის აქტივისტებმა ცეცხლი გაუხსნეს „ოცნების“ აქტივისტებს, ოპოზიცია კი ამბობს, რომ თავად დაერივნენ ერთმანეთს „ოცნების“ აქტივისტები. ხელისუფლებას ხომ არ აუფეთქდება სიტუაცია?

– შესაძლოა, აუფეთქდეს კიდეც, მაგრამ მე ნამდვილად არ მგონია, რომ ეს ავტომატურად აისახება ნაცმოძრაობის რეიტინგზე და მათ მოემატებათ ქულები და ხმები. ეს ასე მარტივად არ მოხდება. იმედი მაქვს, ნაცმოძრაობას ჭკუა ეყოფა და არ წავლენ პროვოკაციებზე. იქ საკმაოდ ჭკვიანი ადამიანები არიან. ამით ისინი უფრო დაკარგავენ მხარდამჭერებს, რადგან გაჩნდება განცდა, რომ ნაცმოძრაობას სურს, ქაოსი დანერგოს. ეს მათზე ცუდად აისახება. დღეს ხალხის უმრავლესობას აქვს ასეთი დამოკიდებულება, რომ ჯობია, იყოს ასეთი სიტუაცია, რაც დღეს არის, იყოს დაჭაობებული, ვიდრე იყოს ქაოსი, კიდევ გადატრიალება და რევოლუცია. ეს არავის უნდა.

– საზოგადოებას ძველის მობრუნება აღარ სურსო. თქვენ თუ ხედავთ ამ განწყობებს?

– რა თქმა უნდა, ვხედავ. ხალხს უნდა უკეთესი, არსებულზე უკეთესი, ბუნებრივია. 2012 წელს „ოცნებას“ იმ იმედით მისცეს ხმა, რომ იქნებოდა ნაცმოძრაობაზე უკეთესი. იმედი რამდენად გამართლდა, სხვა ამბავია. საზოგადოება ახლა ეძებს უკეთესს. უკეთესი რამდენად არის, სხვა საკითხია.

– გვაქვს უკეთესი?

– სწორედ ეს არის „ოცნების“ უპირატესობა, რომ ამომრჩევლის უმრავლესობას არც „ოცნება“ მოსწონს, მაგრამ მისი სერიოზული ალტერნატივაც არ არსებობს.

– „ოცნება“ ისევ ძველ ხერხს მიმართავს „ბუა“ მოდის ძახილით და სააკაშვილს იყენებს ამისთვის. ეს რამდენად მუშაობს?

– ფაქტია, რომ მუშაობს, მით უმეტეს, მთავარ ალტერნატივად ისევ ნაცმოძრაობა რჩება და ასეთი სიტუაციაა – მე თუ არა, ის. სხვა პარტიების რეიტინგები არ სცდება 10%-ს.

სერიოზული შეცდომები დაუშვეს მთელმა რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა, ვერ ისარგებლეს იმ უპირატესობით, რომელსაც აძლევს მათ ეს სისტემა, როცა ბარიერი ასეთი დაბალია. დაიწყეს ერთმანეთის ლანძღვა და ამით ოპოზიციური ამომრჩევლის დემოტივაცია მოახდინეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ზუგდიდის მოვლენებზე მთავრობამ პასუხი უნდა გაგვცეს“

ეკა ბესელია: „კობახიძე ივანიშვილს ეპრანჭება“

იაგო ნაცვლიშვილი

მძიმე მოვლენები ვნახეთ 21 ოქტომბერს ზუგდიდში, როდესაც „საქართველოს ბანკის“ ფილიალს შეიარაღებული პირი თავს დაესხა. შეიარაღებულმა პირმა ბანკის შენობაში მძევლად აიყვანა 19 ადამიანი. მან რამდენიმე საათის შემდეგ 16 პირი გაათავისუფლა, თავად კი 4 მძევალთან ერთად ბანკის შენობა მას შემდეგ დატოვა, რაც მისი მოთხოვნები დააკმაყოფილეს და ნახევარი მილიონი დოლარი მიუტანეს.

მძევლებს შორის, რომლებთან ერთადაც შეიარაღებულმა პირმა ბანკის შენობა დატოვა, ერთ-ერთი სამგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ავთანდილ გალდავა იყო, რომელიც თავდამსხმელთან მოლაპარაკებებს უშუალოდ აწარმოებდა, მოგვიანებით კი მძევლების დიდ ნაწილს ჩაენაცვლა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელს ფული სწორედ სამხარეო პოლიციის ხელმძღვანელმა მიუტანა. ამ ისტორიის ბოლოს თავდამსხმელმა გალდავა და მასთან ერთად აყვანილი მძევლებიც გაათავისუფლა, თავად კი გაუჩინარდა.

რა კითხვები რჩება, რამდენად ადეკვატური იყო ხელისუფლების განცხადებები, როდესაც ისრები მედიისკენ მიმართეს და რამდენად დაცულია ქვეყნის უსაფრთხოება? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერი **ეკა ბესელია** საუბრობს.

– მძიმე მოვლენები ვნახეთ ზუგდიდში. ერთი მხრივ, პოლიციამ ეფექტიანად იმუშავა, ტრაგედიას გადავურჩით და ყველაფერმა უმსხვერპლოდ ჩაიარა, მაგრამ თავდამსხმელმა მიიღო ის, რაც სურდა. რა მთავარი კითხვები დაგრჩათ 21 ოქტომბრის მოვლენებიდან გამომდინარე შსს-სთან?

– სამი მთავარი კითხვაა, რომლებზეც პასუხია გასაცემი. პირველი კითხვაა, ვინ არის ეს ადამიანი, აქამდე რატომ არ არის ცნობილი. ესაა გასაიდუმლოებული და ვისთვისაა ეს გასაიდუმლოებული? ანუ ვისთვის ინახება ეს ინფორმაცია, ან რას ნიშნავს ის, რომ ამდენი საათის შემდეგ საზოგადოებამ და ქვეყანამ თავდამსხმელი სად წავიდა არ იცის, რაც საფრთხის შემცველია.

მეორე, სად წავიდა ის ავტომატიანი კაცი, რატომ გაუშვეს და არის თუ არა უსაფრთხოდ ქვეყანა და ხომ არ არის რისკი ადამიანებისთვის, რომლებიც, შესაძლოა, კიდევ აღმოჩნდნენ თავდასხმის ობიექტნი, ანუ რამდენად არის რისკები, რომ ის არის ავტომატით ხელში და ამის ფაქტორები კიდევ არსებობს.

მესამე კითხვაა ის, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ადამიანი ბანკის შენობაში, ადამიანი, რომელიც იყო შეიარაღებული. სახიფათოა არჩევნების წინა დღეებში ასეთი მოვლენების კვალდაკვალ პროცესები, სახიფათოა, დღისით, მზისით შეიარაღებული ადამიანი ყველაზე უფრო დაცულ სივრცეში შედიოდეს, ძალიან სახიფათოა, ასეთი სპეციალური ფორმით აღჭურვილ ადამიანი როგორ გადაადგილდებოდა და როგორ შევიდა ბანკში ამ ოპერაციის ჩასატარებლად. ამ დრომდე საოცარი განცდაა, რომ რაღაცას მალავენ და კონფიდენციალური ამბები ხდება.

ამ კითხვებზე დაუყოვნებლივ არის პასუხი გასაცემი, იქიდან გამომდინარე, რომ არარეალური სურათი იყო, რაც ვნახეთ. 21 ოქტომბრის ამბავი გადაღებულ სერიალს ჰგავდა. კარგია, რომ ეს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და მსხვერპლი არ არის. ყველაზე მთავარი ამ ისტორიაში ეს არის, მაგრამ ახლა ამ კითხვებზე პასუხებია გასაცემი.

სხვათა შორის, ცოტა არაადეკვატურად მომეჩვენა პრემიერის გუშინდელი განცხადება მთავრობის სხდომაზე. ძალიან მოკლე განმარტება გააკეთა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, სხვა თემებზე გადასულიყო. მთელი ქვეყანა პირდაპირ ეთერში ამ სპეცოპერაციის ამბავს უყურებს, პრემიერი კი მთავრობის სხდომაზე აკეთებს ორწინადადებიან შეფასებას და გადადის კოვიდ 19-ის თემაზე. თქვენ არ დაგრჩათ შთაბეჭდილება, რომ გაურბოდა ამ თემას და აღარ უნდოდა საუბარი? შთაბეჭდილება რჩება, რომ რაღაცას მალავენ და რაღაცა არაგულწრფელია. როდესაც რაღაცა არის არაგულწრფელი, მერე ასე იქცევი. როდესაც ასე იქცევი, მერე ადამიანებს უკვე ისიც კი აღარ სჯერათ, რაც სიმართლეა.

„ზუგდიდის მოვლენებზე პრემიერის განცხადება არაადეკვატურად მომეჩვენა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაღაცას მალავენ“

– ანუ ეჭვი გიჩნდებათ, რომ ამ ყველაფრის უკან რაღაცა იმალება?

– რაც მიჩნდება, გითხარით, ნუღარ გამამეორებინებთ.

– კითხვა იმანაც გამოიწვია, თუ რატომ არ ჩავიდა მთავრობის მეთაური ზუგდიდში, როდესაც ამ ოპერაციის დროს არც ისე შორს იყო ზუგდიდიდან და იმყოფებოდა ქუთაისში. არ ფიქრობთ, რომ პირადად უნდა გასცნობოდა ვითარებას ადგილზე?

– ალბათ, კარგი იქნებოდა, უნდა ჩასულიყო. ბევრი რამეა ამ ისტორიაში ბუნდოვანი.

– ელოდებით, რომ ამ კითხვებს, რომლებიც თქვენ დასვით, პასუხები გაეცემა, თუ გგონიათ, რომ კითხვები დარჩება კითხვებად?

– მე მგონია, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

– ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოვისმინეთ უცნაური განცხადებები. მაგალითად, ამ მხრივ გამოირჩა ირაკლი კობახიძე, რომელმაც კონკრეტული ტელევიზიების მისამართით გამოიყენა ტერმინები „პერვი კანალ“ და „გლავნი კანალ“. რა იყო ეს?

– ეს არის გამაოგნებელი ამბავი. რა გითხრათ? ამაზე კომენტარიც კი მიჭირს. ძალიან რთულია ამაზე შეფასების გაკეთება. კობახიძეს უნდა მივანიჭოთ ყველაზე არაადეკვატურის ხარისხი. ის ეპრანჭება ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მას რატომ მოსწონს ასეთი რაღაცები, ეგ არის საოცრება და ეს არის მათი პრობლემა.

– ქვეყნის უსაფრთხოება რამდენად დაცულია? ეს კითხვაც არსებობს.

– მაგ კითხვაზე პასუხი გასაცემია და ის, რაც ხდება ქვეყანაში კრიმინოგენურ ვითარებასთან დაკავშირებით, მაგ კითხვაზე პასუხი აქედანაც ჩანს.

– რას ელით ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?

– ჩანს, რომ უსაფრთხოების სტრუქტურები, იქნება ეს სუსი თუ შსს, მოქმედებენ იმპულსურად, არაადეკვატურად და არაპროფესიონალურად, რაც ქმნის არასტაბილურობის განცდას. როდესაც მოვლენებს ლოგიკურად აფასებ, ხედავ, რომ ინსტიტუციებში, რომლებიც უნდა იცავდნენ უსაფრთხოებას, სიმყარე არ არის. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, აიკინძა და რეალობაში სურათი ჩანს, იცით, როგორი? ისეთი, რომ ამ ხელისუფლებამ ამოწურა თავისი თავი და რესურსი მმართველობის თვალსაზრისით.

როგორ შეიძლება, კობახიძე და მდინარაძე გველაპარაკებოდნენ, იმიტომ, რომ ეს არის პრობლემა, რადგან საზოგადოება ამ ადამიანებს არ იღებს. ისინი არაფერს წარმოადგენენ, არაფერი იციან და მთავარი სპიკერები როდესაც ისეთი ადამიანები არიან, როგორებიც კობახიძე და მდინარაძე, ვინ აირჩევს მათ?! ეს არის გამორიცხული ამბავი. საუბრობენ ივანიშვილზე, მაგრამ ივანიშვილი პარლამენტში არ ზის. როგორ უნდა მისცეს საზოგადოებამ ხმა ამ ადამიანებს, არ ვიცი. ოჯახის წევრები და ნათესავები, ალბათ, მისცემენ ხმას, მაგრამ დანარჩენ საზოგადოებაზე რა გითხრათ?! ეს არის ჩემი პასუხი – არც ნაცმოძრაობა და არც „ოცნება“.

გოგი წულაია: „ხელისუფლება თვითონ არ ვარგა და ზუგდიდის ყაჩაღობასაც ოპოზიციას აბრალებს“

„მერიების თანამშრომლებმაც კი იციან, რომ თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, დედა აქვთ ნატირები“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „თავისუფალი საქართველოს“ თანათავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, ხონი-წყალტუბოსა და სხვა რაიონებში მაჟორიტარობის კანდიდატ გოგი წულაიას.

– „საქართველოს ბანკის“ ზუგდიდის ფილიალზე თავდასხმის ინციდენტი უსისხლოდ დასრულდა. გამოითქმის აზრი, რომ ეს პროვოკაცია იყო. ზოგმა ამას „ნაცების მოდელირებული ტერორიზმი“ უწოდა. თქვენ რას იტყვით?

– ის, რაც ზუგდიდის ბანკში მოხდა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სუსტი სახელმწიფო ვართ და ნებისმიერ თავზეხელაღებულ კაცს შეუძლია, დისონანსი შემოიტანოს, შეგვიცვალოს ცხოვრების წესი. შეიძლება, სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში იყო ან სახელმწიფოს აძლიერებდე. ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას ხელისუფლება ხომ უნდა აღიარებდეს?!

– ჩვენი ხელისუფლება როგორ იქცევა?

– ეს ხელისუფლება სისუსტესა და საკუთარ შეცდომებს არ აღიარებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება“ გასაშვებია. ამ ხალხს არც გამოცდილება ეტყობა და არც რაიმეს სწავლისა და აღიარების სურვილი ემჩნევა. სირცხვილი არ არის, ასეთი კრიმინალი ხდება და ამას პროვოკაციას აბრალებენ?! ხელისუფლება თვითონ არ ვარგა და ზუგდიდის ყაჩაღობასაც ოპოზიციას აბრალებს, ბოლნისისა და დმანისის შემთხვევებსაც. კი მაგრამ, შე კაი კაცო, ქვეყანას მართავ, პოლიცია, უშიშროება და ყველა სხვა სამსახური შენს განკარგულებაშია და სულ ოპოზიცია გიწყობს ყველგან პროვოკაციებს?! დანაშაული თუ ხდება, ხომ უნდა გახსნა? უსუსურები არიან, მაგრამ ამას ფარავენ. ამიტომ ვამბობ, აუცილებელია არჩევნების გზით „ქართული ოცნების“ შეცვლა, კოალიციური მთავრობის შექმნა, ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება. საერთოდ, ახალი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ.

– ახალი სახელმწიფოს მშენებლობაზე ბევრს საუბრობს უკრაინაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელიც ჩართვებით საკუთარ მომხრეებს აგულიანებს. ერთ-ერთი ბოლო ჩართვა მას ივანიშვილის მშობლიურ საჩხერეში ჰქონდა. ამ მხრივ რაიმე სიახლეა?

– მიშა ატყობს, რომ ბიძინას ძალაუფლება შერყეულია, ეს ხელისუფლება ლპება და უფრო მეტად აქტიურობს. არის ასეთი გამონათქვამი – ხელისუფლება აგდია ქუჩაში. დღეს სწორედ ის დროა, როცა ხელისუფლების აღება შეიძლება. ვინც მოასწრებს, ის გაიმარჯვებს. აქ ერთი მომენტია – სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც ურჩევნიათ ორპოლუსიანობა. მათ უნდათ, პოლიტიკურ ველზე მხოლოდ მათი პარტიები იყვნენ. სააკაშვილი თავისას ცდილობს, მაგრამ ამაში „ოცნებაც“ არ უშლის ხელს.

– კოალიციური მთავრობა ახსენეთ.

– მე და კიდევ უამრავ ადამიანს გვინდა კოალიციური მთავრობა. ჩვენ ამაში ვხედავთ გამოსავალს. ახლა ქუთაისში ვიმყოფები და აქედან დავდივარ წყალტუბოში, ხონში, ვანსა და სამტრედიაში, სადაც კენჭს ვიყრი. ვხვდები ხალხს. ყველა ამბობს, რომ თუ არ შეიქმნა კოალიციური მთავრობა, იქნება ეკონომიკური კატასტროფა, შიმშილი და უმუშევრობა. ამასთან, მათ არ უნდათ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მობრუნება. ზოგიერთი ადამიანი საბიუჯეტო ორგანიზაციაში მუშაობს, თუმცა ცვლილებები იმათაც უნდათ. მერიების თანამშრომლებმაც კი იციან, რომ თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, დედა აქვთ ნატირები.

– ნაციონალურ მოძრაობასაც ჰყავს ამომრჩეველი.

– რასაკვირველია. ჩვენ ამ ამომრჩეველს ვერ გავასახლებთ და ვერ გავაქრობთ. მთავარია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ მოვიდეს უკონტროლოდ და უმრავლესობით. ნაცმოძრაობის ამომრჩეველი დაახლოებით 20-დან 22%-მდეა. ჩემი აზრით, ისინი ფანატიკოსები, სექტანტები არიან. მათ იეღოველებს ვადარებ. ნაციონალური მოძრაობა არ უნდა მოვიდეს უმრავლესობით. მცირე ჯგუფით – კი ბატონო, იყვნენ პარლამენტში!

– კოვიდინფიცირებულების რიცხვი გაიზარდა. ხომ არ არის მცდელობა, რომ მოსახლეობა უფრო დააშინონ?

– დამტკიცდა, რომ ეს ხელისუფლება თავს ვერ აბამს კორონავირუსთან ბრძოლას. ჯერ დაშინებას ვერ ვამჩნევ. ხელისუფლებას დაშინების ხერხი შემონახული ექნება. არჩევნებამდე ორისამი დღით ადრე გვეტყვიან, რომ სიკვდილიანობა კატასტროფულად გაიზარდა. ამას გახარია არ გააკეთებს. გამოყენებენ სატელიტებს. მათ შორის, სამედიცინო სფეროდან – გამყრელიძეს, იმნაძეს. იმნაძე ადრე ხომ გვაშინებდა კუბოებით?! ახლაც გაგვახსენებს სასახლეებს.

– ამის მიზანი რა იქნება?

– ხელისუფლებას ჩაფიქრებული ექნება, რაც შეიძლება ნაკლები ამომრჩეველი მიიყვანოს ხმის მისაცემად. თვითონ ადმინისტრაციული მეთოდებით შეკრებს თავის ამომრჩეველს – მოსამართლეებს, პროკურორებს, პოლიციასა და ა.შ. ნაციონალურ მოძრაობასაც არ გაუჭირდება თავისი ფანატიკოსი მომხრეების მიყვანა უბნებზე. მათ შიშის გრძნობა გამქრალი აქვთ. სხვა ამომრჩეველი უფრო არამოტივირებულია და უფრო დაშინდება. მაგალითად, შეშინებული ადამიანი არ იტყვის, კორონას დედაც ვატირე, უნდა წავიდე, გოგი წულაიას მივცე ხმა, რომ პარლამენტში იყოსო.

– ამ გეგმის რეალიზაცია გამოუვათ?

– არა მგონია. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს გადარჩენა კოალიციურ მრავალპარტიულ მმართველობაშია და ჩვენ არჩევნების შემდეგ ასეთი პარლამენტი გვეყოლება.

„ხელისუფლებამ ტერორისტზე შტურმი შეგნებულად არ განახორციელა“

რამაზ საყვარელიძე: „უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაცია, მით უფრო წინასაარჩევნოდ, ხელისუფლებას დივიდენდებს, რა თქმა უნდა, ვერ მოუტანდა. არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი. ამიტომ ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ზუგდიდში მომხდარ ტერორიზმზე პოლიტიკურ ჭრილში საუბრობს.

– ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ რატომ თქვა უარი სპეცოპერაციის ჩატარებაზე? ფაქტობრივად, ტერორისტის მოთხოვნები დაკმაყოფილდა.

– თანამედროვე სამყაროსთვის ტერორისტული აქტი უცხო არ არის, მაგრამ ამ კონკრეტულ ტერორისტულ აქტს აქვს თუ არა პოლიტიკური მხარე? ეს არის მნიშვნელოვანი. მე ვთვლი, რომ აქვს. რომ ჩატარებულიყო, მაგალითად, ნორდოსტის სპეცოპერაციის ანალოგი, როდესაც ტერორისტები ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი, რასაც მძევლების მსხვერპლი მოჰყვა, ჩვენთან ასეთ სპეცოპერაციას აუცილებლად მოჰყვებოდა პოლიტიკური შედეგი, რუსეთისგან განსხვავებით, სადაც ოპოზიცია არ არის თავისუფალი.

პოლიტიკური ოპოზიცია, მით უფრო წინასაარჩევნოდ, ამ თემას მრავალი პლასტით გამოიყენებდა. 20 ივნისის მოვლენებს თუ გავიხსენებთ, მთელი პოლიტიკური პროცესი სწორედ ამაზე ააგო მაშინ ოპოზიციამ. მე არ გამოვრიცხავ, რომ ახლა ერთიორად ააგებდა, მით უფრო,

როდესაც არჩევნებამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი.

– არჩევნების კონტექსტიდან გამომდინარე იმოქმედა ხელისუფლებამ?

– ხელისუფლება არჩევანის წინაშე იდგა და მან ეს გზა აირჩია. ეს იყო შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი. არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა შტურმი ტერორისტზე. შეიძლება, მსხვერპლი ყოფილიყო, რაც, შესაძლოა, ხელისუფლებას ძალიან მაღალ პოლიტიკურ ფასად დასჯდომოდა და ამაზე თქვა უარი. ამდენად, ამ სპეცოპერაციას ეს პოლიტიკური ასპექტი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ მე დღეს გადაჭრით არ შემიძლია იმის თქმა, როგორ იმოქმედეს ძალოვნებმა, რა მოტივით იხელმძღვანელეს სპეცოპერაციის დროს.

– თქვენ ამბობთ, რომ არჩევნებზე გავლენას იქონიებდა, თუ როგორ დასრულდებოდა სპეცოპერაცია?

– დიახ, ცალსახად ასე იქნებოდა. უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლით დასრულებული სპეცოპერაცია, მით უფრო წინასაარჩევნოდ, ხელისუფლებას დივიდენდებს, რა თქმა უნდა, ვერ მოუტანდა. არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი. ამიტომ ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა.

– თავისუფლებაზე მყოფი ტერორისტი რა იმიჯს შეუქმნის ხელისუფლებას და ეს რა გავლენას იქონიებს თუნდაც წინასაარჩევნოდ?

– ეს ძალიან სერიოზული საკითხია. დიახ, ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოჩნდეს სუსტი, თუმცა მე მაინც მგონია, რომ შეფასება იქნება ორგვარი: ერთი, ხელისუფლება გამოჩნდა ჰუმანური და არ გაიმეორა თუნდაც ბარამიძის სტილი, რომელმაც სვანეთში ჩაატარა სპეცოპერაცია და რომლის სისასტიკეზე დღემდე ლაპარაკობენ.

მეორე შეფასება ასეთი იქნება: ხელისუფლება იყო უსუსური. თავისთავად ასე ხდება ხოლმე, როდესაც ადამიანი ოპოზიციურად არის განწყობილი, ის აუცილებლად იტყვის, რომ ხელისუფლებამ ვერც აქ ივარგა და ტერორისტი გაუშვა. დიახ, მის უსუსურობაზე გაამახვილებს ყურადღებას. პროსახელისუფლებოდ განწყობილი ადამიანისთვის კი წამყვანი იქნება ხელისუფლების ჰუმანურობა.

თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი, თუ როგორი იმიჯი ექნება ხელისუფლებას თავად ტერორიზმისკენ, კრიმინალისკენ მიდრეკილ ადამიანებში. ამიტომ სწორი იყო გახარიას განცხადება, რომელმაც სრული სიმკაცრით მოითხოვა ტერორისტის დაკავება. დაუსჯელობის პრეცედენტმა შეიძლება ბევრი ანალოგია გააჩინოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ამიტომ ამაზე ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს სახელმწიფოს. მიზანმიღწეული და დაუსჯელი ტერორიზმი მაგალითს იძლევა, რომ ამ გზით სიარული თურმე ამ ქვეყანაში შეიძლება. ეს ძალიან საშიში პრეცედენტი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ სახელმწიფოს აუცილებლად მოუწევს სათანადო რეაგირება, თუმცა, როგორც ჩანს, ანალოგიური ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით. ამის თქმის საფუძველს შამბას განცხადება მაძლევს.

– შეიძლება, ქართული მხარე აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებზე იყო?

– დიახ, არ გამოვრიცხავ, რომ ეს კავშირი იყო, იმდენად სწრაფი რეაქცია ჰქონდა აფხაზურ მხარეს. მე შთაბეჭდილება დამრჩა, რომ აფხაზური მხარე გარკვეულწილად შემზადებული იყო ამგვარი განცხადებისთვის და შამბას განცხადებამაც არ დააყოვნა.

გიგა ბოკერიამ ირაკლი კობახიძეს პოლიტიკური კლოუნი უწოდა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარობის კანდიდატი, გიგა ბოკერია, ზუგდიდში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და აცხადებს, რომ დასაფასებელია სამართალდამცავების საქმიანობა, რომ ადამიანების სიცოცხლე არ შეეწირა 21 ოქტომბერს მომხდარ ფაქტს, მაგრამ ამ საქმის წარმატებულობაზე საუბარი, როდესაც ბოროტმოქმედი გაქცეულია, არ შეიძლება.

ბოკერიამ ასევე აღნიშნა, რომ „პოლიტიკურ კლოუნ“ კობახიძესა და ივანიშვილის გარემოცვას არ ესმით, რომ ამგვარი საქმეები არის კრიმინალის წახალისება, „არის კატასტროფა და ამით ქვეყანა მიდის უფსკრულისაკენ“.

– გუშინდელი მოვლენების შემდეგ რეაქცია, რაც ვიხილეთ ივანიშვილის რეჟიმის, განსაკუთრებით, გამორჩეული პოლიტიკური კლოუნის, კობახიძის, არის კიდევ ერთი დასტური, როგორ არის ჩვენი ეროვნული ინტერესი ამ ხელისუფლების, ივანიშვილის მთელი ამ გარემოცვის შეცვლა რამდენიმე დღეში, არჩევნებზე და ზოგადად, ცვლილებების მოტანა ჩვენს ქვეყანაში.

დღეს ვნახეთ განცხადებები, რომ თურმე ხელისუფლების ოპონენტებს სწყინთ, გაბრაზებული ვართ ვითომ ჩვენ, „ევროპული საქართველო“, წარმატებულ პოლიციის ოპერაციაზე, რომელიც ჩვენ გუშინ ვიხილეთ. ამ პოლიტიკურ კლოუნს, კობახიძეს და ივანიშვილის სხვა სპიკერებს არ ესმით, რომ რა თქმა უნდა, მთელი საზოგადოება მადლიერი ვართ ყველა პოლიციელის, ვინც თავის მოვალეობას ასრულებს და ის, რომ ადამიანების სიცოცხლე არ შეეწირა გუშინ, ეს არის კარგი. მაგრამ, წარმატებულ ოპერაციაზე საუბარი, როცა ბოროტმოქმედი, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ჩააგდო, ფული წაიღო და მიმალულია, როგორ შეიძლება წარმატებაზე საუბარი, სანამ ეს ადამიანი დაკავებული არ იქნება, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ირაკლი ოქრუაშვილი: „ჩიხიდან გამოსასვლელად რეფორმატორის იმიჯი უნდა დავიბრუნოთ და დასავლეთის ყურადღება მივიპყროთ“

ჩიხიდან გამოსასვლელად რეფორმატორის იმიჯი უნდა დავიბრუნოთ და დასავლეთის ყურადღება მივიპყროთ, რადგან დასავლეთის გარეშე ადვილი არ იქნება ამ პრობლემებიდან გამოსვლა, – ამის შესახებ „აიპრესთან“ ინტერვიუში „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომლის სრულ ვერსიასაც მკითხველს მოგვიანებით შევთავაზებთ:

– როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა ჩიხიდან? თქვენი წარმოდგენა როგორია, რაზეც საუბრობთ?

– პირველი, ჩვენ უნდა დავიბრუნოთ რეფორმატორის იმიჯი იმისათვის, რომ დასავლეთის ყურადღება მივიპყროთ. დასავლეთის გარეშე ადვილი არ იქნება ამ პრობლემებიდან გამოსვლა. დასავლეთის ყურადღება ავტომატურად ნიშნავს დამატებით ინვესტიციებს ჩვენ ეკონომიკაში, დამატებით სესხებს უფრო ეფექტურად, დამატებით ყურადღება საერთაშორისო არენაზე, როდესაც რუსულ საფრთხეებთან მარტო არ ვიქნებით. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩვენს პოლიტიკაში ეჭვი შეეპარებათ, იმიტომ რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვპოზიციონირებთ სირაქლემის პოზით, როდესაც საფრთხე მომდინარეობს რუსეთიდან და ჩვენ ამას არ ვიმჩნევთ და დასავლეთს ვეუბნებით, რომ ეს ჩვენი საქმეა და ჩვენ თვითონვე გავუმკლავდებით.

რეფორმატორის იმიჯის დაბრუნება გამოწვევს ინტერესის გაჩენას ჩვენი ქვეყნისადმი, რაც თავისთავად ძალიან ბევრ პოზიტიურ სიგნალს გამოგზავნის უკან. ეკონომიკაშიც და მმართველობით სფეროშიც და სამეზობლოში ავიმაღლებთ პოზიციებს.

მეორე, აქტიური რეფორმების გატარება კორუფციის შესაჩერებლად. როდესაც აშკარაა, რომ ხელისუფლება ლარის კურსს ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად ათამაშებს იმისათვის, რომ საარჩევნო ფული ამოიღონ და ამით ზარალდებიან ჩვენი მოქალაქეები – თქვენც, მეც და სხვაც. ამისთვის საჭიროა, რომ ბიზნესს რა გავლენებიც გააჩნია სახელისუფლებო წრეებთან, ერთხელ და სამუდამოდ გადავუკეტოთ. ბიზნესი თავისუფალი იყოს და იმართებოდეს მხოლოდ კანონებით და არა გავლენებით. უნდა დასრულდეს კარტერული გარიგებები – იქნება წამლების ფასები ფარმაცევტულ ბაზარზე, საწვავის ფასი თუ სხვა.

„ოცნების“ დეპუტატი გაიტაცეს, მაგრამ მან თავს გაქცევით უშველა

20 ოქტომბერს სოფელ ლეთეთში ქარელის საკრებულოს წევრი ზურაბ ახმედოვი გაიტაცეს. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ზურაბ ახმედოვი, სავარაუდოდ, საკუთარი მანქანით გაიტაცეს. თუმცა „ოცნების“ დეპუტატმა თავს გაქცევით უშველა.

წყარო „მთავარს“ უყვება, რომ „ოცნების“ დეპუტატს რამდენიმე ნიღბიანი პირი თავს დაესხა.

თავად დეპუტატი დუმს, ინფორმაციას უარყოფენ ახმედოვის ოჯახის წევრებიც, თუმცა მეზობლები ყვებიან, რომ მოლაპარაკებების შემდეგ გამტაცებლებმა მანქანა სოფელ ხცისთან დატოვეს.

გატაცების მოტივი უცნობია – შესაძლოა, მომხდარი მის ბიზნესსაქმიანობას უკავშირდებოდეს და თავდამსხმელებს ფულის გამოძალვა სურდათ.

შსს დეპუტატზე თავდასხმას ადასტურებს, მაგრამ უწყებაში განმარტავენ, რომ არა დეპუტატი, არამედ მისი ავტომანქანა გაიტაცეს. ავტომანქანის გატაცების ბრალდებით ერთი პირია დაკავებული.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 179-ე მუხლის მეორე „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ყაჩაღობას სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით.

კელი დეგნანი: „არჩევნების სკრუპულოზური მონიტორინგი აუცილებელია“

– არჩევნების სკრუპულოზური მონიტორინგი აუცილებელია იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ლეგიტიმური არჩევნები, რომლის შედეგებსაც ხალხი ენდობა.

ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა განაცხადა.

როგორც „ინტერფრესნიუსს“ საქართველოში აშშ-ის საელჩოდან აცნობეს, ამერიკის საელჩო საქართველოში მომუშავე სადამკვირვებლო ჯგუფებს მხარს უჭერს.

„საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნების დროს მსოფლიოს თვალები და ყურები არიან. ამერიკის საელჩო სიამაყით უჭერს მხარს საქართველოში მომუშავე სადამკვირვებლო ჯგუფებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტიდან, ეროვნულ– დემოკრატიული ინსტიტუტიდან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდიდან“, – ნათქვამია საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

„თავდამსხმელი თავიდან აგრესიული იყო და რამდენიმეჯერ გაისროლა, მერე კომუნიკაბელური გახდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

აპირებდა თავდამსხმელი, თვითონ გაჰყვებოდნენ ქალების ნაცვლად, ხოლო მესამე პირი თავდამსხმელმა თავად აირჩია.

– რაც შეეხება პოლიციის უფროს ავთანდილ გალდავას, თავიდანვე ისე იყვნენ შეთანხმებული, რომ დანარჩენი მძევლების სანაცვლოდ დარჩებოდა. თვითონ ის პოლიციელი, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა, უმაღლესი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. ძალიან ადეკვატური იყო, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ იქიდან ცოცხლები გამოვსულიყავით, – განაცხადა კვარაცხელიამ.

ირაკლი კვარაცხელიას თქმით, „საქართველოს ბანკში“ მისული იყო ბარათის ასაღებად, რომელიც გასულ კვირას შეუკვეთა. ბარათის აღებას ელოდებოდა და სწორედ ამ დროს მოხდა შემთხვევა.

– ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, ან ფეხმძიმედ იყო, ძალიან მალე გაათავისუფლა. ასევე, მომლაპარაკებელი პოლიციელის თხოვნით, კიდევ რამდენიმე ქალი გაათავისუფლა. ბოლოს კი დავრჩით 20 ადამიანი. შეარჩია ადგილი, სადაც უნდა დავლოდებოდით მოლაპარაკების დასრულებას.

ამ 20-დან 12 თუ 13 პირი დავრჩით, საიდანაც უკვე ბანკიდან წასვლისას 3 დაიტოვა. გარდა ამისა, პირადად ავთანდილ გალდავას შეთავაზება იყო, რომ მძევლების ნაცვლად დარჩებოდა, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ვაჟკაცური საქციელი იყო და დიდი მადლობა მას ამისათვის, – დასძინა ირაკლი კვარაცხელიამ.

* * *

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია თვლის, რომ მძარცველს მძევალთა შორის თანამონაწილე ჰყავდა, გვარად ხვიბლიანი.

ამის შესახებ ის ფეისბუქში წერს:

„ახლა კარგად დააკვირდით ხვიბლიანის გადაადგილებას ამ ვიდეოში და მარტივად მიხვდებით, რომ არავითარი მძევალი ის არაა: ფორმალურად აქვს ხელები აწეული, გადაადგილდება საკუთარი მიხედულებით (და არა მკაცრად მითითებული მარშრუტით, როგორც სხვა მძევლები), ზოგჯერ ასწრებს კიდევაც ტერორისტს, რაც გამორიცხულია.

და მთავარი: დააკვირდით ვიდეოს ბოლო ათ წამს – ფარულად ამყარებს კომუნიკაციას ტერორისტთან.

ხვიბლიანიც ჩამოვიდა მანქანიდან პოლიციის უფროსთან ერთად და აწვება ლეგენდას, რომ ისიც მძევალი იყო. პოლიციაშია და იკითხება, დიახ, მაგრამ არა როგორც მძევალი, არამედ როგორც ტერორისტის თანამონაწილე. მეტიც, ამ ოპერაციის დამგეგმავი ტვინია ხვიბლიანი. ამ ვიდეოშიც მოქმედების ინსტრუქციებს აძლევს გამტაცებელს. მერე „საკუთარი ნებითა და კეთილი განზრახვით“ თვითონ უჯდება გამტაცებელს მანქანაში, ვითომ სხვა მძევლებს გადაეფარა. ამასობაში, საჯარისო ნაწილიდან, სადაც მსახურობს, არალეგალურად, უნებართვოდაა გამოპარული. რატომ? სენაკიდან ზუგდიდში რომ საქბანკში ჩასულიყო? სენაკში არაა ბანკი თუ რა ასეთი საჭიროება იყო, შინაგანაწესის ასეთი მძიმე დარღვევა რომ არ ჩაედინა?“

„მთავარმა“ აუდიოჩანაწერი მოიპოვა, რომელიც ბანკშია ჩაწერილი მას შემდეგ, რაც თავდამსხმელს მოთხოვნილი თანხა ავთანდილ გალდავამ მიუტანა.

ჩანაწერში ისმის, რომ თავდამსხმელი 5 მძევლის წაყვანას ითხოვდა, სამხარეო პოლიციის უფროსი კი სთხოვს, სამი ან ოთხი კაცი წაიყვანოს, რადგან „ამდენს ფიზიკურად ვერ წაიყვანს“.

– არავის არაფერი არ უნდა დაუშავდეს და, თუ დაუშავდება, შენ იქნები პასუხისმგებელი! – მიმართავს სამხარეო პოლიციის უფროსი თავდამსხმელს, რის პასუხადაც ის ეუბნება:

– კარგი, ნუ ყვირიხარ!

„მთავარ არხს“ წყარო უყვება, რომ მძევლების გათავისუფლება არა სოფელ კირცხთან, არამედ, სულ სხვა ადგილზე მოხდა. მისივე ინფორმაციით, გამტაცებელმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია უკვე დიდი ხანია დატოვა და მეტიც, ის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე აღარ იმყოფება.

წყარო ყვება მარშრუტს, რომლითაც გამტაცებელმა მშვიდად შეძლო აღებულ ფულთან ერთად მიმალვა – სოფელი მუხურა და მდინარე ლუგელა ის ადგილებია, საიდანაც, წყაროს თქმით, გამტაცებელმა ზუგდიდის რაიონი დატოვა და, სავარაუდოდ, ცხენით სვანეთში გადავიდა.

ვახტანგ გომელაური: „პირველი ამოცანა იყო ადამიანების გადარჩენა“

„დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ბატონ ავთო გალდავას, რომელმაც თავისი სიცოცხლე გაწირა“

– პირველი ამოცანა იყო ადამიანების გადარჩენა. 43 მძევალი გავათავისუფლეთ და არც ერთი ადამიანი დაზიანებული არ არის. მეორე ეტაპია დავიჭიროთ, დავაკავოთ და დავსაჯოთ.

ამის შესახებ შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა 22 ოქტომბერს ზუგდიდში მედიის წარმომადგენლებთან განაცხადა.

– გუშინ ძალიან მძიმე დღე იყო. დღევანდელი დღე და ღამეც ძალიან მძიმე იყო ყველასთვის, მათ შორის ჩვენთვის, მძევლებისთვის, ვინც იყვნენ შიგნით დარჩენილები, იმ სამი ადამიანისთვის. ყველაფერი გავაკეთეთ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ჩვენმა ხელისუფლებამ იმისთვის, რომ არავინ დაშავებულიყო.

ჩვენი პირველი ამოცანა, რაც დავისახეთ და რაც, რა თქმა უნდა, შეთანხმებული იყო ხელმძღვანელობასთანაც, ბატონ პრემიერ-მინისტრთანაც და მაქსიმალურად იყო დავალება, რომ არავინ დაშავებულიყო. ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ერთ ადამიანსაც კი არაფერი დაშავებოდა. თქვენ ნახეთ, ეტაპობრივად გამოუშვეს ადამიანები, ჯერ 14 კაცი, მერე – 7, მერე – 9 და ა.შ.

მე რისი თქმაც არ შემიძლია, ვერ გეტყვით. შეიძლება, ბევრი ინფორმაცია მქონდეს, მაგრამ ჩემმა ერთმა სიტყვამაც, შესაძლოა, გამოძიებას ხელი შეუშალოს და გაფუჭდეს თემა. გვაცადეთ. დღეს დილით დამთავრდა ეს ღონისძიება. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, პირველი ამოცანა იყო ადამიანების გადარჩენა. 43 მძევალი გავათავისუფლეთ და არც ერთი ადამიანი დაზიანებული არ არის. მეორე ეტაპია დავიჭიროთ, დავაკავოთ და დავსაჯოთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მინისტრმა დამნაშავის შესაძლო თანამზრახველების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს და პოლიცია ყველა მიმართულებით მუშაობს.

– გამოძიების ირგვლივ ბევრი ვერსია გავრცელდა, თუმცა თანამზრახველების შესახებ ამას ჯერ ვერ დავადასტურებ, რა თქმა უნდა. ვმუშაობთ ყველა მიმართულებით. შეიძლება იქ 10 ადამიანი ყოფილიყო დამნაშავის თანამზრახველი 43 ადამიანში. ვერავინ ვერ იტყვის ამას, იყო თუ არ იყო.

გამოძიება მიმდინარეობს, არ შეიძლება დააბრალო დანაშაული, რომელიც არ იცი მტკიცებულებით ფორმაში. აქედან გამომდინარე, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

დავით ხვიბლიანი იყო მძევალი. ამაზე ვერავინ ვერაფერს ვერ გეტყვით. 43 ადამიანში ერთ-ერთი იყო დავით ხვიბლიანი. ჩვეულებრივად გამოძიება მიდის, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, სამართალდამცველებმა ყველაფერი გააკეთეს თავდამსხმელის დასაკავებლად.

– რაც ყველაზე მთავარი იყო, ჩვენი თანამშრომელი მივიდა, შევთავაზეთ, რა თქმა უნდა, რომ ჩვენ გამოგყვებით 5 კაცი, 10 კაცი, რამდენიც შენ გინდა. ამაზე უარი გვითხრა. თავიდან უარს აცხადებდა, შემდეგ დაგვთანხმდა ერთ ადამიანზე და მე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ავთო გალდავას, რომელმაც თავისი სიცოცხლე გაწირა.

ეს არ არის ადვილი საქმე, დამერწმუნებით. არც ჩემთვის იყო ადვილი ამ გადაწყვეტილების მიღება, რომ თანამშრომელი გაგვეგზავნა. ეს ადამიანი ცოცხალი ან დაბრუნდებოდა, ან არა. არავინ იცოდა. ურთულესი გადაწყვეტილება მივიღე, ჩემთვის ეს ძალიან მძიმე იყო და, რა თქმა უნდა, ბატონი ავთოსთვის იყო ძალიან მძიმე. რთულია, თუმცა ერთი წამით უარი არ უთქვამს და არ შეუდრეკია თავისი გმირული ნაბიჯი. წარბი არ შეუხრია და მადლობა მინდა ვუთხრა.

რაც მოხდა, კი იცით. თავიდან სთხოვა, მარტო ეს გაჰყოლოდა, თუმცა მან უარი უთხრა, მარტო შენთან ერთად არ წამოვალო და მძევლებიც წაიყვანა, 3 ადამიანი, რომლებიც რამდენიმე საათი მანქანით მოძრაობდნენ იმისთვის, რომ მიმალულიყო.

ეს ადამიანი გადავიდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ დაგვეკავებინა, თუმცა რთული იყო. ვერ გავწირავდით ვერც ერთი ადამიანის სიცოცხლეს. გამთენიისას მანქანიდან გადავიდა და მიიმალა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

❖ ❖ ❖

– მსჯელობა და შეფასება, ვინ სწორად მოიქცა და ვინ – არა, ყველაზე მარტივია. მსოფლიო პრაქტიკას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო წარმატებული სპეცოპერაცია იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მძევალი გადარჩა, სისხლი არ დაიღვარა და ყველაფერი დამთავრდა შედარებით მშვიდობიანად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა პოლიტიკანობა დაიწყო და სამართალდამცველების კრიტიკით პოლიტიკური ქულების დაწერა ცადა, მე ვფიქრობ, რომ გადადგმული ნაბიჯები იყო გააზრებული და სწორი. პოლიციელებმა, რომლებმაც ეს საქმე საკუთარ თავზე აიღეს, ვაჟკაცური საქციელი ჩაიდინეს, – აცხადებს მამუკა არეშიძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით მათიკაშვილი კი აღნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ გუნდისთვის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უპირველესი ღირებულებაა, ხოლო დეგრადირებული, ცალკეული ოპოზიციური ძალები საკუთარი ვიწრო პარტიული ქულების მოსახვეჭად ყველა უღირსობაზე აწერენ ხელს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მსხვერპლის გარეშე, მაღალი პროფესიონალიზმით ჩატარებული სპეცოპერაცია ზუგდიდში და ჩვენი დროის გმირი, ავთანდილ გალდავა, პოლიციელი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო მძევლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის რისკი. და კიდევ, უპასუხისმგებლო, ანტისახელმწიფოებრივი და დამნაშავე ოპოზიცია თავისი მსგავსი მედიასაშუალებებით.

გუშინ კიდევ ერთხელ დაამტკიცა „ქართული ოცნების“ სახელისუფლებო გუნდმა, რომ მისი უპირველესი ღირებულება და საზრუნავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობაა, ხოლო სრულიად დეგრადირებული ცალკეული ოპოზიციური ძალები ყველა უღირსობაზე აწერენ ხელს საკუთარი ვიწრო პარტიული ქულების მოსახვეჭად!!!“ – დაწერა დავით მათიკაშვილმა ფეისბუქში.

კომენტარი გააკეთა ირაკლი კობახიძემაც:

– 21 ოქტომბერს ერთ მხარეს იდგნენ ხელისუფლება, გმირი პოლიციელები და მძევლების უვნებლად გათავისუფლებით დაინტერესებული ჩვენი თანამოქალაქეები, ხოლო მეორე მხარეს იდგნენ ბანკში შეჭრილი დამნაშავე, ექსტრემისტული ზრახვებით შეპყრობილი პოლიტიკოსები და მათი მედიასაშუალებები, – განაცხადა მან.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი:

– ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ოპოზიცია და პოზიცია ამ დროს არის ერთიანი, როგორ შეიძლება იმ დროს, როცა უმძიმეს დანაშაულს ვადევნებთ თვალს და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა არის საფრთხეში, იქ ვინმეს სხვა პოზიცია ჰქონდეს, იყოს დრო შეფასების, რომ თურმე რაღაც არ არის კარგად და სტატისტიკა ასეთია.

რა თქმა უნდა, ამ შეფასებების დრო ყოველთვის იქნება, მაგრამ იმ დროს, როცა ასეთი უმძიმესი შემთხვევაა და ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია, დაასახელეთ რომელიმე ცივილიზებული დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც რომელიმე ოპოზიციონერი შემთხვევის ადგილიდან ბრიფინგებს მართავს და ხელისუფლებას აკრიტიკებს. ამ დროს უნდა ვიყოთ ერთიანი და როცა ეს გადაივლის, ამისთვის არის დემოკრატია, რომ ერთმანეთი გავაკრიტიკოთ და მიგვითითონ თუ რაიმე ხარვეზია.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე რატი იონათამიშვილის შეფასებით, ოპოზიცია დანაშაულის ადგილას კეკლუცობით იყო დაკავებული.

– საზოგადოება ძალიან კარგად ხედავდა, თუ ვინ როგორ იქცეოდა. ჩვენი გუნდის მხრიდან ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არც ერთი განცხადება არ გაკეთდა, განსხვავებით ჩვენი ოპონენტებისაგან, რომლებიც დანაშაულის ადგილის ერთმანეთის მიყოლებით დადგნენ და ამ ფონზე კეკლუცობდნენ, – განაცხადა რატი იონათამიშვილმა.

ეს კი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ფეისბუქში დაწერა:

„უდიდესი ვაჟკაცობა და პროფესიონალიზმი სჭირდება ასეთი ღონისძიებების უმსხვერპლოდ ჩატარებას და მით უმეტეს მძევლების ჩანაცვლებას საკუთარი თავით!

ჩემი პატივისცემა და მხარდაჭერა საქართველოს პოლიციას!

არც ვახო გომელაურის, არც ავთო გალდავას და არც ძალიან ბევრი პოლიციელის, რომლებიც ასეთივე ჟინით ემსახურებიან ქვეყანას, პროფესიონალიზმში და ვაჟკაცობაში არასდროს, არც ერთი წამით შემპარვია ეჭვი! მადლობა! პოლიციელი გმირია!

მჯერა, საპოლიციო ღონისძიების მეორე ეტაპიც ანალოგიური წარმატებით შესრულდება და დასრულდება!“

კომენტარი თბილისის მერმა კახა კალაძემაც გააკეთა:

„გუშინ ზუგდიდში აღმაშფოთებელი დანაშაული მოხდა. სანამ ემოციები არ დაცხრება, ოპერაცია არ დასრულდება და ამ ფაქტით გამოწვეული საზოგადოების თუ მედიის დუღილის ტემპერატურა არ დაიწევს, მეც მოვერიდები და სხვა პოლიტიკოსებსაც ვთხოვდი პოლიტიკური შეფასებებისგან თავის შეკავებას.

ყველას გვიხარია, რომ ეს დანაშაული უსისხლოდ დასრულდა. გვიხარია, რომ თითოეული დაზარალებული – მძევლად აყვანილი ადამიანი მშვიდობიანად დაბრუნდა სახლში.

მოდით, მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ჩვენს პოლიციელებს, რომელთა ძალისხმევით და გმირობით დადგა ეს შედეგი. გავამხნევოთ თითოეული მათგანი. ამ ადამიანებს ოპერაციის მეორე ეტაპი აქვთ დასასრულებელი და ჩვენი – საზოგადოების, ხელისუფლების, მედიის მხარდაჭერა და გამხნევება საქმის ბოლომდე მისაყვანად დიდი სტიმული იქნება.

ჩემი მხარდაჭერა ჩვენს პოლიციელებს!“ – დაწერა კახა კალაძემ.

ქობულეთში, „საქართველოს ბანკთან“, ინკასატორი გაძარცვეს

წაღებულია 75.000 ლარი

22 ოქტომბერს ქობულეთში, „საქართველოს ბანკის“ მიმდებარედ, ინკასატორი გაძარცვეს. არსებული ინფორმაციით, წაღებულია 75 ათასი ლარი.

როგორც თვითმხილველებმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ინკასატორის ძარცვა მაშინ მოხდა, როდესაც აპარატიდან თანხას იღებდა. მოქალაქეები ამბობენ, რომ მძარცველი ერთი ადამიანი იყო. ეჭვმიტანილმა ინკასატორს თანხა წაართვა და ადგილიდან მიიმალა.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით დაიწყო, რაც ძარცვას გულისხმობს.

მომხდარის გამო თვითმხილველები გამოკითხვაზე გადაიყვანეს.

შემოსავლების სამსახურმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინა

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლის მიერ, ქალაქ ზუგდიდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 20.000 (100 ბლოკი) ღერი უაქციზო თამბაქოს ნაწარმის ტრანსპორტირების ფაქტი გამოვლინდა.

ამასთან, უწყების ცნობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა უაქციზო საქონელი.

საქმის მასალები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

მარტყოფში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მკვლელობა მოხდა.

პოლიციამ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია 1 პირი. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული, არასრულწლოვანი ნ.ო. განზრახ მკვლელობის ბრალდებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ურთიერთშელაპარაკებისას თანასოფლელს – 2001 წელს დაბადებულ ზ.ხ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ხობში 47 წლის მამაკაცი ცემით მოკლეს

ხობში 47 წლის მამაკაცი ცემით მოკლეს. არსებული ინფორმაციით, მომხდარს დაპირისპირება უძღოდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, დაპირისპირებული მხარეები ნათესავები და, ამავდროულად, მეზობლები არიან.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, სამართალდამცველებმა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენები უკვე დაიკავეს.

უწყებაში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ალიევი: „სომხური ფაშიზმი ხერხემალში უნდა გადავტეხოთ“

– სომხური ფაშიზმის ხერხემალში გადატეხით ჩვენ გადავარჩენთ ჩვენს რეგიონს დიდი უბედურებისა და ტრაგედიისგან.

ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თურქეთის ომბუდსმენთან, სერეფ მალკოჩთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, სომხეთმა განჯაზე ბალისტიკური რაკეტების გამოყენებით თავდასხმები განახორციელა, რაც ომის დანაშაულია.

– ვიცი, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში განჯაშიც ჩახვალთ. იქ საკუთარი თვალით ნახავთ, როგორ სასტიკ მტერთან გვაქვს საქმე. ისინი ბრძოლის ველზე ვერ გვამარცხებენ და ამის მიღწევას მშვიდობიანი მოქალაქეების დაბომბვით ცდილობენ.

განჯაზე ბალისტიკური რაკეტების გამოყენებით განხორციელებული თავდასხმები ომის დანაშაულია. სომხეთის ხელმძღვანელობა პასუხს აგებს ამ დანაშაულისთვის. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს სომხური ფაშიზმის მტაცებლურ ხასიათს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ სომხური ფაშიზმის ხერხემალში გადატეხით ჩვენ გადავარჩენთ ჩვენს რეგიონს დიდი უბედურებისა და ტრაგედიისგან, – აღნიშნა ალიევმა.

აშშ-ის დაზვერვა: „რუსეთი და ირანი ამერიკულ არჩევნებში ჩარევას უკვე შეეცადნენ“

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის შეფმა ჯონ რედკლიფმა განაცხადა, რომ რუსეთი და ირანი უკვე შეეცადნენ ამერიკულ არჩევნებში ჩარევას. ისინი ცდილობენ, ქვეყანაში ქაოსი და დეზორგანიზაცია შეიტანონ.

– აშშ-ის ნაციონალური დაზვერვა ამას ვერ შეურიგდება! ჩვენ ყველა არაკეთილმოსურნეს საკადრის პასუხს გავცემთ! – აცხადებს რედკლიფი.

გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფმა რეიმაც, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ დაუნდობელნი იქნებიან ყველას მიმართ, ვინც ამერიკულ არჩევნებში ჩარევას მოისურვებს.

კალიფორნიაში სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

სამხრეთ კალიფორნიაში, როჯსკვერთან, აშშ-ის სამხედრო– საზღვაო ძალების თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. შემთხვევის ადგილას პატარა ხანძარი გაჩნდა, რომელიც უმალ ჩააქრეს. პილოტმა კატაპულტირება განიცადა. ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

როსგვარდიის ყოფილი თავკაცი დააკავეს

როსგვარდიის ყოფილი თავკაცი, გენერალი სერგეი მილეიკო დააკავეს.

შემოწმებამ ცხადყო, რომ მილეიკომ ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი ფული მიითვისა. მისმა ცოლმა ამ ფულით ბიზნესი დაიწყო, კერძოდ, სამხედროების სახლში საპარიკმახერო გახსნა.

ამჟამად გენერლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კბილის ექიმთან წასული ამერიკელი ლატარიის გამარჯვებული გახდა

ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის ქალაქ ნორტ-მირტლ-ბიჩის მკვიდრი კბილის ექიმთან წავიდა და იმავე დღეს ლატარიაში მსხვილი თანხა მოიგო.

ლარი ჰეილზმა, რომელიც კბილის ექიმთან მიდიოდა, გზად მაღაზიაში შეიარა და მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთი შეიძინა.

– ბილეთები მანქანაში ჩავყარე და ექიმთან მიღებაზე წავედი, – იხსენებს მამაკაცი, – მოგვიანებით ბანკში მომიწია შევლა, რათა ანგარიშზე ფული შემეტანა. სანამ ჩემ რიგს ველოდებოდი, ლატარიის ბილეთები შევამოწმე.

ლატარიის ბილეთი, რომელიც ჰეილზმა 10 დოლარად იყიდა, მომგებიანი აღმოჩნდა. შედეგად ამერიკელის მოგებამ 750 ათასი დოლარი შეადგინა. როგორც კი მიხვდა, რომ ლატარიის გამარჯვებული იყო, მამაკაცი მაშინვე სახლში დაბრუნდა, რათა სასიხარულო ახალი ამბავი მეუღლისთვის ეცნობებინა.

მოგებული თანხით წყვილი სახლის შეკეთებას აპირებს.

– შეიძლება ახალი მანქანაც ვიყიდოთ, – დაამატა ჰეილზმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი არ ჩატარდება

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს არ ჩატარდება. ინფორმაცია ფესტივალის ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ლოდინს შევეშვით. სექტემბერი არ გამოვიდა. დეკემბერიც არარეალისტური გვეჩვენება ერთი პატარა, მაგრამ ბრაზიანი და საშიში ვირუსის გამო.

2020-ის ფესტივალის ისტორია კი ასეთია:

მარტში ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა მზად იყო. მარტშივე „დავიკეტეთ“. გაურკვევლობაში გადავედით მთელ მსოფლიოსთან ერთად. მაისში უკვე რთულად ჩანდა სექტემბრის ფესტივალის ამბები, მაგრამ დეკემბერი რეალისტური იყო თითქოს და დეკემბერზე დავიწყეთ შეთანხმებები პარტნიორებთან და სტუმრებთან.

ახლა კი დეკემბერი ძალიან ახლოსაა და სამყარო კვლავ ებრძვის ვირუსს ჩაკეტილობით, მკურნალობით, პირბადეებით, აკრძალვებით, წამლებით, ექიმებისა და პაციენტების თავგანწირვით.

კულტურა „შეკავებულია“ და ყველაზე მეტად სწორედ თეატრები, ფესტივალები, საკონცერტო მოღვაწეობა, საშემსრულებლო ხელოვნება დაზარალდა, ზოგი ფესტივალი შეჩერდა, ზოგი გადაიდო, ზოგი ონლაინ გადანაცვლდა სრულად ან ნაწილობრივ. ფაქტია, ცვლილებები ყველას შეეხო და ვფიქრობთ, ეს ცვლილებების მხოლოდ დასაწყისია, პანდემია გავლენას მოახდენს ყველაფერზე, მაგრამ, ვფიქრობთ, არა მხოლოდ უარყოფითად.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად დღეს ურთულესი პირობებისა, შეკავებულ-შეჩერებული კულტურისა, ცარიელი დარბაზებისა, გაურკვევლობისა, თეატრი, ხელოვნება, კულტურა მაინც გამოიტანს დადებითს ამ გამოცდილებიდან და განსხვავებული აზრითა და „ჩაბუდებული“ ენერგიით ააფეთქებს სამყაროს მაღე, ძალიან მალე! მანამდე კი ჩვენს გეგმას მაღე შემოგთავაზებთ!

მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმს ახალი შენობა აქვს



20 ოქტომბრიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმს ახალი შენობა აქვს. მცხეთის ძველი კინოთეატრის შენობის ბაზაზე თანამედროვე სტანდარტების არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა და ინფრასტრუქტურული მოწყობა უკვე დასრულდა. პროექტი მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 9,6 მილიონი ლარი შეადგინა.

ძველი ნაგებობის რეკონსტრუქციის შედეგად შენობაში განთავსდება საგამოფენო და საკონფერენციო სივრცეები, ფონდსაცავები, კაფეტერია და სხვა დამხმარე ვიზიტორთა თუ ადმინისტრაციული სათავსები. მუზეუმის პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ერთობლივი მუშაობით მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

პროექტი შემუშავდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მეთოდოლოგიური მითითებების მიხედვით, რომელშიც მუზეუმოგრაფიის ყველა თანამედროვე სტანდარტია დაცული. პროექტის ფარგლებში, არსებული შენობის სივრცეში ინტეგრირებული არქეოლოგიური ძეგლის „მცხეთის კარიბჭის“ საკონსერვაციო სამუშაოებიც ჩატარდა. მუზეუმის მიმდებარე საზოგადოებრივი სივრცე კეთილმოეწყო და აღიჭურვა გარე განათებითა და სხვა ინფრასტრუქტურული ელემენტებით. ესტონური კომპანია „კოკო არქიტექსის“ მიერ მომზადებული მუზეუმოგრაფიის პროექტის მიხედვით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მომდევნო 1 წლის განმავლობაში ასევე განახორციელებს მუზეუმის როგორც საგამოფენო, ასევე საოფისე ატრიბუტიკით აღჭურვას.

თანამედროვე სამუზეუმო სივრცეში განთავსდება ის 23 ათასამდე არქეოლოგიური არტეფაქტი, რომლებიც ამ დრომდე მცხეთის გამგეობის შენობის საცავებში ინახება. მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის სარეკონსტრუქციო და ინფრასტრუქტურული პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით გამოფენა სახელწოდებით „ძეგლთა დაცვის მეხსიერებიდან“ მოეწყო. ექსპოზიცია მოიცავს ეროვნული სააგენტოს ფონდსაცავში დაცული ანაზომების, ჩანახატების, კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაციების ამსახველ თვალსაჩინო მასალას, რომელიც 1918 წლიდან XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში შესრულებულ გრაფიკულ, არქიტექტურულ და ფერწერულ ნამუშევრებს ასახავს და მნახველს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საკულტო, საფორტიფიკაციო და საერო არქიტექტურის შესახებ მოუთხრობს. ქვეყანაში არსებული პანდემიური ფონის გათვალისწინებით, მუზეუმი გარკვეული დროით დამთვალიერებლებს ვერ მიიღებს. საექსპოზიციო სივრცე დაინტერესებული მოქალაქეებისთვის ეპიდემიური ვითარების სტაბილიზების შემდეგ გაიხსნება.

მცხეთის ყოფილი კინოთეატრი 1960-იან წლებში აიგო და XX საუკუნის არქიტექტურის საინტერესო და ღირებულ ნიმუშს წარმოადგენს. წლების განმავლობაში უფუნქციოდ დარჩენილი შენობა 2015 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს გადაეცა. ამ პერიოდიდან იწყება მის არქეოლოგიურ მუზეუმად ადაპტაციის პროექტზე მუშაობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დავით ხახალეიშვილის ჯანმრთელობა საფრთხეშია

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელიც სახელოვანი ძიუდოისტის, დავით ხახალეიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდებოდა.

ლერი ხაბელოვი:

– ლეგენდარულ ძიუდოისტს, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ დავით ხახალეიშვილს შეექმნა ჯანმრთელობის უმძიმესი პრობლემა – დაუდგინდა დილატაციური კარდიომიოპათია რთული ფორმით.

ქართველი და უცხოელი ექიმების დასკვნით, დავით ხახალეიშვილის სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთ გამოსავლად რჩება გულის ურთულესი და ძვირადღირებული ოპერაცია, რომელიც უნდა გაკეთდეს საზღვარგარეთ. ამჟამად დავით ხახალეიშვილი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება თბილისის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში.

დავით ხახალეიშვილი პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელსაც ერგო მეტად საპატიო მისია – ისტორიაში პირველად დამოუკიდებელი საქართველოს დროშით ხელში გამოსულიყო ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე.

დავით ხახალეიშვილი პირველი ქართველი ოლიმპიელია, რომლის გამარჯვების აღსანიშნავადაც ოლიმპიურ თამაშებზე აყღერდა საქართველოს ჰიმნი და აღიმართა ქართული დროშა.

დავით ხახალეიშვილის სიცოცხლე საფრთხეშია და ჩვენი თანადგომა სჭირდება. ოპერაცია და შემდგომი მკურნალობა-რეაბილიტაცია 250.000 დოლარი ჯდება.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, მოკლე დროში შეგროვდება დავით ხახალეიშვილის საოპერაციოდ საჭირო თანხა.

შეყვარებული წყვილი უნიღბოდ კოცნისთვის დააჯარიმეს

იტალიის პოლიციამ მილანში 400 ევროთი დააჯარიმა შეყვარებული წყვილი, რომლებსაც კოცნის დროს სამედიცინო ნიღბები არ ეკეთათ.

40 წლის იტალიელმა მამაკაცმა და პოლონელმა გოგონამ რესტორნისკენ მიმავალ გზაზე ერთმანეთს სახალხოდ აკოცეს, რის შემდეგაც ისინი სამართალდამცავების ალყაში მოექცნენ. გაირკვა, რომ შეყვარებულებმა სამედიცინო ნიღბების მოხსნით კანონი დაარღვიეს. კორონავირუსის ინფექციის გავრცელების ფონზე იტალიაში ნიღბების ტარება ქუჩაშიც სავალდებულოა. წყვილს ჯარიმა გამოუწერეს.

აღმოჩნდა, რომ შეყვარებულები უკვე ორწელიწადნახევარია დანიშნულები არიან, თუმცა სხვადასხვა მისამართზე არიან ჩაწერილები. მათ რომ ოფიციალურად ერთად ეცხოვრათ, მაშინ დაჯარიმებას თავიდან აიცილებდნენ, ვინაიდან იტალიაში ერთად მცხოვრებ ადამიანებს უფლება აქვთ ქუჩაში უნიღბოდ იარონ, თუ მათ გვერდით სხვა ადამიანი არ იმყოფება.

ამავე დროს შეყვარებული წყვილი ამტკიცებს, რომ კოცნის დროს მათ გვერდით არავინ იმყოფებოდა, აქედან გამოდის, რომ პოლიციელები მათ კოცნას ვერ დაინახავდნენ. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ სამართალდამცავები უნიღბოთა გამოსავლენად დრონებს იყენებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სენსაცია ლიგაზე — ხოჭოლავამ და შახტარმა რეალი დასცეს



ა ჯგუფი

ბაიერნი-ატლეტიკო 4:0

1:0 კომანი (28), 2:0 გორეტცკა (42), 3:0 ტოლისო (66), 4:0 კომანი (72)

ბაიერნმა ჯგუფის მთავარ მეტოქეს – მადრიდის ატლეტიკოს უმასპინძლა და ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოუგო.

პირველი გოლი მთლიანად ჯოშუა კიმიხის გენიალური პასის დამსახურებაა, რომელმაც სტუმართა საჯარიმოს გარედან შესრულებული უზუსტესი გადაცემით იან ობლაკთან პირისპირ კინგსლი კომანი დატოვა და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

შესვენებამდე რეკორდმაისტერმა მეორედაც გაუტანა ატლეტიკოს და ამჯერად საგოლე გადაცემით კომანი გამოირჩა, გოლი კი ლეონ გორეტცკამ მიითვალა.

მეორე ტაიმში კინგსლი კომანმა, რომელიც უდაოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ბრწყინვალე დრიბლინგის შემდეგ დუბლი შეასრულა, თუმცა იქამდე სუპერგოლის გატანა კორენტინ ტოლისომ მოახერხა, რომელმაც იან ობლაკის კარში საკმაოდ შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით შეაგდო.

ზალცბურგი-ლოკომოტივი (მ) 2:2

0:1 ედერი (19), 1:1 სობოსლაი (45), 2:1 იუნოზოვიჩი (50), 2:2 ლისაკოვიჩი (75)

ამ ჯგუფში თითო ქულა აქვთ მოსკოვის ლოკომოტივსა და ზალცბურგს, რომლებმაც ფრედ 2:2 ითამაშეს.

ჯერ ლოკომოტივი იგებდა, მერე – ზალცბურგი, საბოლოოდ ქულები გაიყვეს.

ბ ჯგუფი

ხეაღი-შახტარი 2:3

0:1 ტეტე (29), 0:2 ვარანი (33სკ), 0:3 სოლომონი (42), 1:3 მოდრიჩი (54), 2:3 ვინისიუსი (59)

მადრიდის რეალი სენსაციურად დამარცხდა, თანაც ისე, რომ სამივე გოლი შესვენებამდე გაუშვა. უკრაინის ჩემპიონთა შემადგენლობაში, რომელსაც კორონავირუსზე დადებითი ტესტების გამო ძირითადის 10 მოთამაშე აკლდა, თავიდან ბოლომდე ითამაშა დავით ხოჭოლავამ. ქართველმა მცველმა „სამეფო კლუბის“ წინააღმდეგ იდეალური მატჩი ჩაატარა და თავის გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

შახტარის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ტეტემ ჯერ თავად გაიტანა, შემდეგ კი მის დარტყმულს რაფაელ ვარანის ავტოგოლი მოჰყვა. მესამე გოლისას ტეტემ ქუსლით ეფექტური პასი გააკეთა, რომელიც სოლომონმა ზუსტი დარტყმით დაასრულა.

მე-2 ტაიმში მადრიდელებმა მალევე გაიტანეს – ლუკა მოდრიჩმა საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით შეაგდო. რეალი თამაშში ვინისიუსმა დააბრუნა, რომელმაც მარლოსს ბურთი მოჰპარა და გაიტანა.

რეალმა ტრუბინის კარში მესამე გოლის გატანაც მოახერხა – 90-ე წუთზე, კუთხურის გათამაშების შემდეგ, ვალვერდემ საჯარიმოს გარედან შეაგდო, მაგრამ მსაჯმა ვარ-ის გამოყენების შემდეგ თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა.

ინტერი-გლადბახი 2:2

1:0 ლუკაკუ (49), 1:1 ბენსებაინი (63პ), 1:2 ჰოფმანი (84), 2:2 ლუკაკუ (90)

ქულები გაიყვეს ფლეი ოფისთვის მებრძოლმა გუნდებმა. ინტერელთა გოლეადორმა რომელუ ლუკაკუმ დუბლი შეასრულა, მაგრამ გუნდს მხოლოდ ქულა მოუტანა. მის გოლებს შორის გერმანელებმა 2-ჯერ იხეირეს.

გ ჯგუფი

სიტი-ჰოხტუ 3:1

0:1 ლუიშ დიაზი (14), 1:1 აგუერო (21პ), 2:1 გიუნდოგანი (65), 3:1 ტორესი (73)

სენსაციის სუნი დატრიალდა მანჩესტერშიც, სადაც პორტუ ლუიშ დიაზის გოლით დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა – პეპ გვარდიოლას ბიჭებმა 3 გოლი გაიტანეს და პორტუგალიელები უშანსოდ დატოვეს.

ოლიმპიაკოსი-მარსელი 1:0

1:0 კოკა (90)

ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ მარსელი საბერძნეთიდან ქულას წაიღებდა, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კოკამ მასპინძლებს 3 ქულა მოუტანა.

დ ჯგუფი

აიაქსი-ლივერპული 0:1

0:1 ტალიაფიკო (35სკ)

აიაქსმა ინგლისურ ლივერპულს უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. გოლი უცნაურ სიტუაციაში გავიდა, სადიო მანე საჯარიმოში აწვდიდა, არგენტინელმა ტალიაფიკომ კი საკუთარი კარი დალაშქრა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში აიაქსს ურიგოდ არ უთამაშია, ნიდერლანდელებმა მატჩის გადარჩენა მეორე ტაიმში ვეღარ შეძლეს. იურგენ კლოპის გუნდმა 3 ქულა მოიპოვა.

მიდტიულანდი-ატალანტა

0:1 სპაპატა (26), 0:2 გომესი (36), 0:3 მურიელი (42), 0:4 მირანჩუკი (89)

ამავე ჯგუფში გასული სეზონის სენსაციამ, ბერგამოს ატალანტამ სტუმრად დებიუტანტი მიდტიულანდი გაანადგურა – 4:0. იტალიელებმა საქმე პირველივე ტაიმში მოილიეს, ხოლო მატჩის ბოლომ ბერგამოელთა ახალწვეულმა ალექსეი მირანჩუკმა საბოლოო წერტილი დასვა.

შემადგენლობა ცნობილია, დღეს შოტლანდია-საქართველოს ჯახია

დღეს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ედინბურგში, „მარიფილდის“ სტადიონზე, შოტლანდიას დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებს“ „ნარშავეთან“ სულ 4-ჯერ უთამაშიათ და ყველა შემთხვევაში დამარცხდნენ. შეგახსენებთ, რომ შოტლანდია არის პირველი ქვეყანა 6 ერიდან, რომელმაც საქართველოს ნაკრებთან მატჩი თბილისში გამართა.

„ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა შემადგენლობა დაასახელა.

23-კაციან რაზმში ერთი დებიუტანტია – ბორდოს 28 წლის მარჯვენა ბურჯი ლექსო ყაულაშვილი სასტარტო შემადგენლობაში იქნება და მიხეილ ნარიაშვილს შეუწყვილდება, ხოლო კვაჭი ჯაბა ბრეგვაძეა, რომელსაც 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ „ბორჯღალოსნების“ კვართით არ უთამაშია.

მეორე ხაზში ნოდარ ჭეიშვილი და გრიგორ ქერდიყოშვილი დადგებიან, მესამე ხაზში კი თამაშს ოთარ გიორგაძე, ბექა საღინაძე და ბექა გორგაძე იწყებენ.

9-10 ნომრებზე თამაშს ნაცადი წყვილი, ვასილ ლობჟანიძე და თედო აბჟანდაძე იწყებენ. ცენტრში ბრუნდება გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ის დემე თაფლაძეს შეუწყვილდება.

ფრთაზე გამოცდილ სანდრო თოდუასა და ახალგაზრდა ტაბუცაძეს ვიხილავთ, რომელმაც 2 მატჩში 5 ლელოს გატანა მოახერხა. ფულბეკი სოსო მათიაშვილი იქნება.

გამოცდილი და შედარებით ახალგაზრდა მორაგბეების ნაზავია მარქაფაშიც. კვაჭის პოზიციაზე შეცვლაზეა შალვა მამუკაშვილი, ხოლო გურამ გოგიჩაშვილი და გიორგი მელიქიძე ბურჯებს შეცვლიან.

2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთთან დებიუტის შემდეგ, მეორე სანაკრებო მატჩს ჩაატარებს მეორეხაზელი გიორგი ჯავახია, ხოლო მესამე ხაზში გამოცდილი გიორგი თხილაიშვილია.

9 ნომრის პოზიციაზე შეცვლაზეა გელა აფრასიძე, ხაზს კი გიორგი კვესელაძე და თამაზ მჭედლიძე გააძლიერებენ.

ტრავმების გამო „ბორჯღალოსნებს“ რამდენიმე მორაგბე დააკლდებათ – ბექა გიგაშვილი, ლევან ჩილაჩავა, კოტე მიქაუტაძე, გიორგი ცუცქირიძე, ვანო კარკაძე და ლაშა ხმალაძე.

კალათბურთში სუპერლიგის პირველი ტური დასრულდა

ტიტები-ცხუმ აფხაზეთი 87:71

(16:20, 23:21, 29:17, 19:13)

საკალათბურთო სუპერლიგის პირველი ტურის ბოლო 2 მატჩიც დასრულდა. მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილმა ტიტებმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის ცხუმ-აფხაზეთს 87:71 სძლია.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა, მაგრამ ეს უფრო მის პირველ ნახევარზე ითქმის, რომელიც ცხუმ-აფხაზეთმა 41:39 მოიგო. მე-3 პერიოდში ტიტების კალათბურთელებმა გარდატეხა მოახდინეს, რაც თეიმურაზ ბაბუნაშვილის, აკაკი ლომოურისა და დავით ლომიძის გააქტიურებას მოჰყვა. ტიტების ამერიკელი ლეგიონერები მანამდეც შედეგიანად ირჯებოდნენ, მაგრამ, როცა ქართველებმაც აუბეს მხარი, გუნდს აღარ გასჭირვებია.

მე-3 პერიოდის 29:17 მოგების შემდეგ ტიტებმა 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა და თამაში ისე ჩამთავრდა, ცხუმ-აფხაზეთს ვითარების გამოსწორების შანსი არც მისცემია.

მთლიანობაში ტიტებმა გუნდურად ითამაშა და საბოლოოდ 6 კალათბურთელს სარგებლიანობის თითქმის თანაბარი კოეფიციენტი დაუგროვდა. 20 ქულით ბომბარდირი ტაილან ბერტსი გახდა, 18 ქულა და 8 მოხსნა ჯორდონ თალიმ მიითვალა, დავით ლომიძის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა. ცხუმ-აფხაზეთში 20 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი შარაბიძე.

ოლიმპი-დინამო 67:77

(10:20, 23:22, 18:16, 16:19)

ტურის ბოლო მატჩში ოლიმპი დინამოს დაუპირისპირდა. შეხვედრა დინამოელთა გამარჯვებით – 77:67 დასრულდა. შემადგენლობიდან გამომდინარე, ორივე გუნდი მიმდინარე სუპერლიგის ფავორიტთა რიგებს განეკუთვნებიან და შეხვედრაც საკმაო ინტერესს იწვევდა.

საბოლოოდ დინამოელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს, რაც მათი გუნდური თამაშის და დაბალანსებული შემადგენლობის დამსახურებაა. მაკედონიელ მწვრთნელ მუჰამედ ტაჩის ყველა პოზიციაზე საიმედო კალათბურთელები ჰყავს, რაც ამ მატჩში იმის გარანტია აღმოჩნდა, რომ პირველ პერიოდში მოპოვებული ხელჩასაჭიდი უპირატესობა დინამოელებს ბოლომდე შეენარჩუნებინათ.

პირველი პერიოდი დინამომ 20:10 მოიგო, რის შემდეგაც ოლიმპმა გათანაბრებაზე ზრუნვა წამოიწყო, რაც პერიოდულად გამოსდიოდა და ჩამორჩენას ამცირებდა, მაგრამ დაწინაურება ვერ მოახერხა. მესამე პერიოდის შუაში ოლიმპელებმა მინიმუმამდე შეამცირეს დეფიციტი, მაგრამ დინამოელებმა გუნდური თამაშის წყალობით კვლავ დაიბრუნეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა და შეხვედრა ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება აღარ დაძაბულა.

დინამოელებს ამერიკელმა ახალწვეულმა ტრეივონ რიდმა და ახალგაზრდა ნიკა დარბაიძემ ულიდერეს. 218 სანტიმეტრი სიმაღლის ამერიკელმა ცენტრმა 13 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა, დარბაიძის ანგარიშზე კი 13 ქულა და 6 პასი დაგროვდა. დინამოელთა ბომბარდირი ახალგაზრდა ლაშა მიქელაძე გახდა, რომელმაც 14 ქულა მიითვალა. 13 ქულა მიითვალა ლუკა ბულაშვილმა. ოლიმპში 19 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ბუნდუ აბდულაი, 15 ქულა ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე დაგროვდა.

ფეხბურთი

21 ოქტომბერი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

რეალი-შახტარი	2:3
ზალცბურგი-ლოკომოტივი	2:2
აიაქსი-ლივერპული	0:1
ბაიერნი-ატლეტიკო	4:0
ინტერი-გლადბახი	2:2
სიტი-პორტუ	3:1
მიდტიულანდი-ატალანტა	0:4
ოლიმპიაკოსი-მარსელი	1:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ბორნმუთი	1:1
ქპრ-პრესტონი	0:2
სტოკი-ბარნსლი	2:2
უოტფორდი-ბლექბერნი	3:1
უენსდი-ბრენტფორდი	1:2

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-აუე	3:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ესპანიოლი-ნირანდესი	2:0
ლას პალმასი-კასტელონი	2:1
ლუგო-ხირონა	3:0
პონფერადინა-ტენერიფე	1:0
ალმერია-კარტახენა	1:1
ფუენლაბრადა-ლოგრონიესი	0:0

იტალია. სერია ბ

ლეჩე-კრემონეზე	2:2

ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ვალვაიკი-ზვოლე	1:1

მოამზადა მიხეილ ყორეულიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 2. ფრინველის საჭერი მახე; 3. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. ნადირისგან დამცავი, ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლება; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 16. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

თარაზულად: 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 9. პირველი გერმანული ოპერა; 10. ტბა მცხეთა-მთიანეთში; 11. ხრტილების ანთება; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 19. შეიარაღებული მძარცველი; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის ხილის წვენების გაჯერება ნახშირმჟავა-აირით; 23. ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰუნდაი; 2. კარე; 3. კონსტანტა; 4. გარდა; 5. ჟენშენი; 8. ხამონი; 9. პარანგონი; 12. კაბურა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

თარაზულად: 1. ჰინდიკუში; 6. ქობულაძე; 7. ნუსხური; 9. პლისკა; 10. შალე; 11. პორტერი; 13. აბატი; 15. ლაზიკა; 17. ბაირამი; 18. შუამთა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მარტელი; 2. კოტირება; 3. იამაჰა; 4. დიორი; 5. ნეგროიდი; 8. გიორგობა; 12. ჯოჯო; 13. პრეტორია; 14. ორშიმო; 16. ხიმინჯი; 18. ნაძვი; 20 საკე.

თარაზულად: 6. კაზემირო; 7. ახალციხე; 8. გოთიკა; 9. ლეღვი; 10. დეპუტატი; 11. ფარჯიანი; 15. კრომბახერი; 17. თოფუზი; 19. მერსედესი; 21. არჩვაძე; 22. ბახტრიონი; 23. ლეკლერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

23 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2274

ევრო — 3.8267

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2147

100 რუსული რუბლი — 4.1869

ამინდის პროგნოზი 23 ოქტომბრისათვის

20 ოქტომბრიდან

ანბანი ლექსებით

33 ქართული საბავშვო ლექსი, 260-ზე მეტი სიტყვა და ილუსტრაცია სტიკერებით, გასაფერადებლებითა და ქართული ასოების საწერი ბადეებით

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ფედე ვალვერდე: „წაგებების სერია უნდა შევწყვიტოთ“

მადრიდის რეალის ურუგვაელმა ნახევარმცველმა ფედე ვალვერდემ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა წაგებების სერია უნდა შეწყვიტოს, რადგან წინ ბარსელონასთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა და რეალისთვის ამ მატჩში დამარცხება არ შეიძლება:

– ბარსელონასთან მაქსიმალური კონცენტრაცია გვჭირდება, რადგან ამ თამაშის წაგება არ შეიძლება. შახტართან ჩვენს მარცხს არავინ ელოდა და მაყურებლის წინაშე რეაბილიტაცია გვმართებს.

სერჟ გნაბრი კორონავირუსისგან განიკურნა

მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველი სერჟ გნაბრი კორონავირუსისგან რამდენიმე დღეში განიკურნა და ვარჯიშს მალე შეუდგება.

გნაბრიმ ვირუსის გამო ბაიერნის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამოტოვა და მისმა არყოფნამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. გნაბრი წლევანდელ სეზონში ბაიერნის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია და მისი გოლები ხშირად ეხმარება ხოლმე მიუნხენურ გუნდს გამარჯვების მიღწევაში.

ვენგერი: „გრიზმანი თავის პოზიციაზე არ თამაშობს“

არსენალის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ანტუან გრიზმანზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ბარსელონაში თავის პოზიციაზე არ თამაშობს და ამის გამო ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რომელსაც მისგან ელიან:

– გრიზმანის პოზიცია ცენტრშია, თუმცა იქ მესი თამაშობს, ამიტომ ანტუანი თავს არ გრძნობს მოედანზე კომფორტულად, რადგან, როდესაც ფეხბურთელი თავის პოზიციაზე არ არის, მაშინ ის საუკეთესო თვისებებს ვერ ავლენს. მინდა, რომ ანტუანმა შეძლოს თავისი თავის პოვნა ბარსელონაში.

მოამზადა ბექა ვოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

23 ოქტომბრისათვის

ვერძი – საქმე მთელი გულით აკეთეთ. იყავით თვითმყოფადი. ახლობლებისაგან მეტი მხარდაჭერა გჭირდებათ. ** კურო** – დღეს მთავარია, ყურადღებით იყოთ და შეცდომა არსად დაუშვათ. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს. **კირჩხიბი** – მიუხედავად მოულოდნელი ცვლილებებისა, მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საოჯახო საქმეებს ნუ დაივიწყებთ. **ლომი** – ნებისმიერ საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. ემოციური თვალსაზრისით რთული დღეა. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება. კრიტიკული სიტუაციების ალბათობა იზრდება. **სასწორი** – ილუზიები, უნდობლობა, მოტყუება დღევანდელი დღის თანმდევია. ერიდეთ კომერციულ საქმიანობას. **ღრიანკალი** – ენერგიულად ხართ. სასიცოცხლო პოტენციალი დიდია. გარშემომყოფებს შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. **მშვილდოსანი** – ყოველგვარი კამათი, საქმის გარჩევა მაქსიმალურად აიცილეთ თავიდან. ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **თხის რქა** – სერიოზული პროვოკაციებისთვის მზად იყავით. ასევე მოსალოდნელია რომანტიკული გატაცება. **მერწყული** – ეს დღე დიდი შინაგანი თავისუფლების შეგრძნებით გამოირჩევა. ფული გონივრულად ხარჯეთ. **თევზები** – დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. ავტორიტეტს გაუფრთხილდით. პრობლემების მოგვარებას რთულად, მაგრამ მაინც მოახერხებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პაპა შვილიშვილს ეუბნება:

– სულ მაგ კომპიუტერთან რომ ზიხარ, აჯობებდა, რაიმე საქმით დაკავებულიყავი! მე, მაგალითად, ახალგაზრდობაში 350-კილოგრამიან შტანგას ვწევდი!

– შეუძლებელია! 350-კილოგრამიან შტანგას მსოფლიოს რეკორდსმენიც ვერ სწევს!

– მე კი ვწევდი!.. თუმცა ვერ ავწიე...

•••

ქალი კაცს ეკითხება:

– ყოველთვის ასეთი თავდაჯერებული ხართ?

– მხოლოდ სამშაბათობით ან როდესაც ლამაზ ქალს შევხვდები.

– შენი აზრით, ლამაზი ვარ?

– დღეს სამშაბათია.

●●●

ხანგრძლივი დევნის შემდეგ პატრულმა მანქანა გააჩერა და მძღოლს ეუბნება:

– თუ ისეთ მიზეზს დამისახელებთ, რომლის გამოც სიჩქარის გადაჭარბებით მგზავრობდით, ამასთან, ისეთს, რომლის მსგავსიც არასდროს მომისმენია, მაშინ არ დაგაჯარიმებთ და გაგიშვებთ.

– ერთი წლის წინ ჩემი ცოლი პოლიციელთან ერთად გაიქცა და, როდესაც შევნიშნე, უკან მომყვებოდით, ვიფიქრე, რომ ცოლის ჩემთვის დაბრუნება გსურდათ.

– ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლექს სენი: „ახლა 2020 წელია — უარესი არაადეკვატურობაა“

ასე მიაჩნია რეპერ ლექს სენს, იმავე ლექსო ქავთარაძეს:

– სტუდენტობის წლებიდან პატარა ეპიზოდები გამახსენდა: რუსთაველის თეატრში სპექტაკლებზე დასწრება ძვირი იყო ჩვენთვის მაშინ, 2, 3, 4, 5 ლარი ღირდა ბილეთები. სტუდენტის მოწმობას ვაჩვენებდით ხოლმე, 50 თეთრს ვჩუქნიდით კართან და დაწყებისას გვიშვებდა ის ქალბატონი. მერე სწრაფად გავრბოდით, წყნარად შევიდოდით დარბაზში, კიბეებზე ჩამოვსხდებოდით, სანამ სადმე ცარიელ სკამებს დავლანდავდით...

საქმე სხვა რამეა – მაოცებდა ის, რომ ბილეთებით მოკალათებულთა უმრავლესობა ან ჩურჩულებდა, ან ხითხითებდა, ან ზასაობდა.

ახლა 2020 წელია – უარესი არაადეკვატურობაა.

მასტერი მყარად ჩამოყალიბებას გვირჩევს

მომღერალი გიორგი პავლიაშვილი იგივე მასტერი მყარად ჩამოყალიბებას გვირჩევს:

– ერთი რაღაცის თქმა მინდოდა და ახლა ყველაზე კარგი მომენტია...

ჩამოყალიბდით!

„ჩაკეტონ ქვეყანა – კორონამ გადაგვიარა“ თუ „გახსნან – ეს კორონა საერთოდ არ არსებობს?“

„კრიმინალმა მოიმატა, ეს რა ხდება ქვეყანაში“ თუ „რა სევდიანი თვალები აქვს საწყალ ბიჭს?“

მაია ასათიანმა იმიჯი შეიცვალა

გადაცემა „პროფილის“ წამყვანმა მაია ასათიანმა იმიჯი შეიცვალა და გრძელი ქერა თმა მოკლედ შეიჭრა და შავად შეიღება.

ტელეწამყვანის ახალმა იმიჯმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია – ნაწილს მიაჩნია, რომ მაიას ქერა თმა უფრო უხდებოდა, ნაწილს კი ახალი ვარცხნილობა უფრო მოსწონს.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ ფრანგულად ითარგმნა

ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის ცნობილი ნაწარმოები „გველის პერანგი“ ფრანგულად ითარგმნა.

პროექტი მწერალთა სახლის ხელშეწყობით განხორციელდა. „გველის პერანგის“ მთარგმნელია მაია ვარსიმაშვილი-რაფაელ.

წიგნი ერთ-ერთმა ფრანგულმა გამომცემლობამ დაბეჭდა და მისი წაკითხვა ფრანგულენოვან მკითხველს უკვე შეუძლია.

ფოთის თეატრი ანკარის საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ანკარის თოჯინების მე-6 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს.

თეატრმა ფესტივალზე თოჯინური სპექტაკლის „ფიროსმანის“ წარდგენა გადაწყვიტა. ფესტივალის ორგანიზატორებმა ღონისძიებები წელს ციფრულ პლატფორმაზე დაგეგმეს.

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი ღონისძიებების, პერფორმანსებისა და სპექტაკლების ნახვა მაყურებელს მხოლოდ ელექტრონულად შეეძლო. აღნიშნული ფესტივალი უამრავ თეატრალურ საზოგადოებას აერთიანებს და აკავშირებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ანკარის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის არის შანსი, კიდევ ერთხელ გაუთქვას სახელი ქართულ თეატრალურ კულტურას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

რონალდუს კოვიდის სიმპტომები არ აღენიშნება

იუვენტუსის ვარსკვლავ კრიშტიანო რონალდუს კორონავირუსის სიმპტომები არ აღენიშნება, თუმცა განმეორებითმა ტესტმა კვლავ დადებითი პასუხი აჩვენა, ამიტომ რონალდუ ჯერჯერობით არ ვარჯიშობს.

რონალდუს მოედანზე დაბრუნების თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა, პორტუგალიელის თქმით, მას სურს, რაც შეიძლება მალე მოხდეს ეს. რონალდუმ წლევანდელ სეზონში მხოლოდ რამდენიმე შეხვედრაში ითამაშა.

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ვაჭართა ინტერესების დამცველი ორგანიზაცია დასავლეთ ევროპაში ძველად; 2. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. გერმანიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

თარაზულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. აეროპორტი პეკინში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. როკ-ანსამბლ „ქუინის“ ლიდერი; 13. კურორტი ხონის რაიონში; 15. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 17. მხარე ბელგიაში; 18. ქართული მინერალური წყალი; 19. ქართველი პოლიტიკოსი მამაკაცი; 20. განსაკუთრებული ნიჭი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა